# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 ოქტომბერი 2005 №242 (2565) ფასი 50 თეთრი



## მთავრობას ფეხბურთი უნდა ვაიძულოთ

ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან

3



## მატყუარა!

როსელა სენსიმ ანტონიო კასანო დაანამუსა

8



## მოულოდნელობას მოულოდნელობა მოსდევს

სენსაციების სერიალი გრძელდება

11

# სტოიჩკოვი მეორდება

## 12 ნოემბერი

### ბულგარეთი — საქართველო 10 წლის შემდეგ, ამხანაგურად



საქართველო — ბულგარეთი 2:1. სტუმართაგან ერთადერთი ბურთი ხრისტო სტოიჩკოვმა გაიტანა

# ლოკომოტივი სინით მიგრიალებს





1995 წლის 11 ოქტომბერი: საქართველოს ნაკრებმა ბულგარელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თბილისურ მატჩში 2:1 მოუგო

# ბულგარეთი იორდანიამდე

## საქართველოს ნაკრები სტოიჩკოვს გაიხსენებს

**ახალი** ამბავი ფეხბურთის ფედერაციიდან: 12 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ბულგარეთში ამხანაგურ მატჩს გამართავს. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, უცხოეთში მივლინებით მყოფმა ნოდარ ახალკაცმა მაროკოში, ფიფას კონგრესზე დაწყებული მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა — 12 ნოემბერს ჩვენები ბულგარეთის ნაკრებთან ითამაშებენ. ხოლო ბულგარეთის ნაკრების თბილისში ჩამოსვლის საკითხი მხოლოდ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შემდეგ გადაწყდება.

ბუნებრივია, თუ საქართველო და ბულგარეთი ერთ ჯგუფში მოხვდნენ, საპასუხო ამხანაგური შეხვედრაც სამომავლოდ გადაიდება. კენჭისყრა, შეგახსენებთ, იანვარში გაიმართება.

სხვათა შორის, 12 ნოემბერს საქართველოს ნაკრები სათამაშოდ ლატვიამაც მიიწვია, მაგრამ, იმ მიზეზით, რომ ფეხბურთის ფედერაციას ბულგარელებისთვის თანხმობის წერილი უკვე გაგზავნილი ჰქონდა, ლატვიასთან მატჩი 12 ნოემბერს აღარ შედგება, თუმც სხვა თარიღის შესათანხმებლად ლატვიასთან მოლაპარაკება გრძელდება.

დავძინოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ნოემბერში ერთი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი — 16 ნოემბერს შინ იორდანიასთან.

**კობა ინასარიძე**

# პირველადი შთაბეჭდილებები პირველ ლიგაზე

**პირველ** ლიგაში ათი ტური ძირლია და იქაური ვითარების შეფასების საშუალებაც გვაქვს.

მეცხრე ტურამდე ცხრილს „ამერის“ და „დინამოს“ ფარმ-კლუბები ლიდერობდნენ და რამდენიმე დღეა, რაც ლიდერობა საჩხერის „ჩიხურამ“ გადაიბარა.

ფარმ-კლუბების თავში ყოფნას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესლიგელებს საიმედო რეზერვი ჰყავთ, რომლებიც, დღეს თუ არა ხვალ, უმაღლეს ლიგაში თამაშისთვისაც მზად იქნებიან.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც გააჩნია — რამდენად მზად არიან უმაღლესში გადასასვლელად ის კლუბები, რომლებიც ყმაწვილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ფარმ-კლუბებს ვერ ჯობნიან?

ანგარიშის საქმე არ არის? საბოლოო ცხრილზე ლაპარაკი ჯერ ადრე კია, მაგრამ არა გვგონია, ძალთა თანაფარდობა სეზონის ბოლომდე დიდად შეიცვალოს.

ჰოდა, სადღეისო ვითარებით, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეიოფში პირველი ლიგის მეექვსეადგილოსანი გუნდი მოხვდება. როგორია — პირველი ლიგის დონე და იქაც მეექვსეადგილოსანი გუნდი...

მეექვსეზე დღეს „გურიაა“. ამ კლუბის ისტორიაზე ლაპარაკს ახლა აზრი არ აქვს, ის კი ვთქვათ, რომ დღევანდელი „გურია“ მეექვსე ადგილზეც რომ არის, მართლა ისტორიული პიროვნების, ზვიად ენდელაძის დამსახურება გვგონია. ენდელაძე რომ არა, ლანჩხუთელები ცხრილში, ალბათ, კიდევ უფრო ქვემოთ იქნებოდნენ, ენდელაძემ კი როდემდე უნდა „გაქაჩოს“ გუნდი...

გაძლიერება? ღმერთმა ქნას, მაგრამ „გურიას“ დღეს ფულიანობის არაფერი ეტყობა.

ფულის ხსენებაზე: „ჩიხურას“ და „მეშაქრეს“ ფინანსურად მაინცდამაინც არ უჭირთ — თუმცა არ უჭირთ პირველი ლიგის კვალობაზე. ცხადია, უმაღლესი ლიგა მათგან მეტ დანახარჯს მოითხოვს. ფული იქით იყოს და, ორივე სიმპათიური გუნდია და ვფიქრობთ, ახლანდელი უმაღლესი ლიგის მაჩანჩალა გუნდებს დღესვე გაუმართავდნენ ღირსეულ ბრძოლას.

ჰო, აგარის „მეშაქრე“ იურიდიულად არა, მაგრამ, ფაქტობრივად, აწ გარდაცვლილი ხაშურის „ივერიას“ მემკვიდრეა, რაკი ნახევარი ხაშური აგარაში თამაშობს.

შუაადგილოსნებიდან სამი გუნდი გამოვარჩიოთ — „რუსთავი“, „მესხეთი“ და „გაგრა“.

რატომაც არ თამაშობს „რუსთავი“ უმაღლესში, ცნობილი ამბავია: გუნდს ფული არ აქვს. ამ მიზეზით რუსთაველებს ორი სეზონის წინ მოპოვებული საუმაღლესლიგო საგზურის დათმობა მოუხდათ. შედეგად, იმედგაცრუება მიიღეს და იმედგაცრუებულმა გუნდმა, აბა, რა უნდა ქნას. არადა, ნორმალურ პირობებში არა გვგონია, ვარლამ კილასონიამ კარგი გუნდი ვერ გააკეთოს.

ახალციხეში რომ ჩახვალ და „მესხეთის“ სტადიონს მიადგები, ბრმა უნდა იყო, კარგი რამეები ვერ დაინახო. მოვლილ-შეღებილ ტრიბუნებს ვგულისხმობთ და იმას, რომ გასახდელებს თუ სამსაჯო-ადმინისტრაციულ შენობას მუშები არიან შესეული და არემონტებენ.

სტადიონი საერთოდ არ აქვს „გაგრას“, მაგრამ მუხრანში დაბანაკებული გუნდის სეზონისწინა ამბიციებს თუ გავიხსენებთ, ცოტა არ იყოს, გვიკვირს — მათ ამბიციას რაღაც დაჰკლებია.

სულ ბოლოში კი „ზესტაფონის“ ფარმ-კლუბია — გუნდი, რომელიც, მავანთა თქმით, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებების სამჭედლო უნდა იყოს. ზესტაფონელებს თამაში თამაშზე გადაედოთ ფეხბურთელების სანაკრებო მივლინებების გამო, მაგრამ ესეც ფაქტია: ჭიათურის „მაღაროელს“ ბოლო 40 თამაშიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული და ისიც „ზესტაფონი 2“-თან.

**კოტე კეკელია**

# თუ ფული მაქვს, გუნდი ვარ...

## მაძღარ დილას ხუთეულიც შეუძლია?

**რამდენიმე** დღის წინ ვწერდით, რომ გორის „დილას“ ნაცნობი სენი შეეყარა — უფულობა. გუნდს ორი თვის ხელფას-პრემიები ჰქონდა მისაღები და შიდა ქართლის ხელმძღვანელობამ კლუბის სპონსორებს დაავალა ვალების დაფარვა.

გუშინ კი სპონსორებსა და „დილას“ ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკება შედგა. რა ითქვა და როგორ ითქვა, ეს კლუბის პრეზიდენტ *არჩილ ბეგიაშვილისგან* შევიტყვეთ:

„მოლაპარაკებას ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, ყველას აინტერესებდა, როგორი იქნება „დილას“ მომავალი. დაგვპირდნენ, რომ ოქტომბრის ბოლომდე ხელფას-პრემიები დარიგდება — ეს მოხდება „ზესტაფონთან“ მატჩამდე. უბრალოდ, სიტუაციამ მოიტანა, რომ თანხა დროულად ვერ მივიღეთ, თორემ სპონსორებიც და რეგიონის ხელმძღვანელებიც რომ დაინტერესებულნი არიან „დილას“ ბედით, ეჭვი არ მეპარება“.

არჩილ ბეგიაშვილმა ისიც გვითხრა, რომ „დილას“ მთავარი სპონსორი კვლავ „კასპიცემენტი“ იქნება — თანხის დაახლოებით 70-80 პროცენტს ეს კომპანია დებს კლუბში, დანარჩენს კი სხვადასხვა საწარმოებიც გვაშველებენ.

„დილას“ პრეზიდენტი მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე არ ფიქრობს, მეტი დაგვინანსება თუ იქნება, მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის ბრძოლაც შეგვიძლიაო. „თავად ფეხბურთელები და მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძეც ასე ფიქრობენ“ — დასძინა ბეგიაშვილმა.

გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის მრავალტანჯული და მრავალი წლის შეუკეთებელი კედელი დღემდე ჩამოშლილია და ვიზუალურად ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს, რის გამოც პროფლიგამ „დილას“ საშინაო მატჩების ფრაგმენტების ტელევიზიით ჩვენება შეზღუდა. ბეგიაშვილს ამაზეც ვკითხეთ და გვიპასუხა, რომ ამ საკითხზეც ჰქონდა სპონსორებთან საუბარი და კედლის გარემონტება მალე მოხერხდება — საწყენია, რომ ჩვენი თამაშის მომენტები მიმოხილვებში არ გადაიცემაო.

**ილია ნანობაშვილი**

## უეფას თასი 2005-2006

### ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

**A ჯგუფი**

ვიკინგი (ნორვეგია) 1:0 მონაკო (საფრანგეთი)
ცსკა (ბულგარეთი) 0:1 ჰამბურგი (გერმანია)

**B ჯგუფი**

მაკაბი (ისრაელი) 1:2 პალერმო (იტალია)

**C ჯგუფი**

ჰალმსტადი (შვედეთი) 0:1 ჰერტა (გერმანია)
სტიაუა (რუმინეთი) 4:0 ლანსი (საფრანგეთი)

**D ჯგუფი**

დნიპრო (უკრაინა) 1:2 ალკმაარი (ჰოლანდია)
0:1 არველაძე (13), 0:2 სეკტიუ (52), 1:2 მატიუხინი (72)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 0:1 მიდლსბრო (ინგლისი)

**E ჯგუფი**

ბაზელი (შვეიცარია) 0:2 სტრასბური (საფრანგეთი)
ტრომსიო (ნორვეგია) 1:2 რომა (იტალია)

**F ჯგუფი**

ცსკა (რუსეთი) 1:2 მარსელი (საფრანგეთი)
დინამო (რუმინეთი) 0:0 ჰერენვენი (ჰოლანდია)

**G ჯგუფი**

შახტარი (უკრაინა) 1:0 პაოკ (საბერძნეთი)
რენი (საფრანგეთი) 0:2 შტუტგარტი (გერმანია)

**H ჯგუფი**

ზენიტი (რუსეთი) 2:1 გიმარაეში (პორტუგალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1 ბოლტონი (ინგლისი)

## ესპანეთი

### თასი. მესამე ეტაპი

| | |
|---|---|
| *ოსპიტალეტი* 4:3 ხიმნასტიკი | ალბასეტე 1:3(1:1დ.დ.) *კადისი* |
| *ალკოიანო* 4:1 მალიორკა | ლას პალმასი 0:1 *ატლეტიკო* |
| *ბურგოსი* 1:0 რასინგი | *ზამორა* 1:1(2:0პენ) სოსიედადი |
| უნიონი 0:1 *ბილბაო* | *ბასა* 1:1(3:2პენ) მალაგა |
| ლოგრონიესი 0:1(0:0დ.დ.) *ლეიდა* | ტენისკა 1:3 *სელტა* |
| *ხერესი* 3:2 ნუმანსია | რაიო ვალეკანო 1:2 *ხეტაფე* |

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

პარასკევს, 21 ოქტომბერს, 13 საათზე,
„ამერის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში
„ამერის“ და „ბორჯომის“ მთავარი მწვრთნელები,
გიორგი ჩიხრაძე და სოსო ფრუიძე
მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავენ

# რა დროს რუსლანაა?!

## ლევან ბერძენიშვილი: მთავრობას ფეხბურთი უნდა ვაიძულოთ

**რამდენად ძლიერადაც უყვართ ჩვენში ფეხბურთი, იმდენად ძლიერად სტკივათ გული დღევანდელ მდგომარეობაზე. ბევრ გულშემატკივარს გაუთავებელმა წაგებებმა ხელიც კი ჩააქნევინა ფეხბურთზე, სტადიონის დანახვა შეაძულა, მაგრამ გამოსავალი? არის კი საქართველო ისეთი წელგამართული ქვეყანა, ფეხბურთის აღორძინება რომ მოვითხოვოთ? არის კი სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთისადმი საკმარისი ყურადღება? — ეს კითხვები ხშირად ისმის. „სარბიელი" ამ თემებზე პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილს გაესაუბრა და რამდენად გულახდილი და ფეხბურთის დამფასებელი კაცი შევარჩიეთ რესპონდენტად, თავად განსაჯეთ...**



— სამწუხაროდ, მხოლოდ მოყვარულის დონეზე ვიცი ფეხბურთი, თუმც ის კი ვიცი, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთი სახელმწიფოს ინტერესის საგანი უნდა იყოს, აქ კი მსგავსი არაფერი ხდება. მთავრობის მეთაურებს ჰგონიათ, რომ ფეხბურთი ცალკე სფეროა და საკუთარ თავს თავად უნდა მოუაროს. აქედან იკვეთება სახელმწიფოს პოზიციაც — რატომ უნდა დავაბანდოთ ფული ფეხბურთში? საქმეს ის ვერ უშველის, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ და კიდევ სხვაგან და სხვაგან თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირები რომ დანიშნეს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბურთს რომ ურტყამს, თუ დააკვირდებით, მაშინაც ეტყობა, რომ ფეხბურთი არ იცის. ქართული ფეხბურთის სახე ეროვნული ჩემპიონატია, რომელიც კიდევ კარგ დონეზეა იმ ფონზე, რა თანხაცაა იქ ჩადებული.

**— ხშირად ხელისუფალნი თავს იმართლებენ — ქვეყანას უჭირსო...**

— გასაგებია, მაგრამ მაშინ რუსლანა არ უნდა ამღერო თავისუფლების მოედანზე და ამისთვის დიდი ფული არ უნდა გადაიხადო. კი, ესეც საჭიროა, მაგრამ თუ მონდომება და ფეხბურთის სიყვარულია, ასეთ კონცერტებს ცოტა იშვიათად გამართავ, თანხას დაზოგავ და თუნდაც ბავშვთა ფეხბურთში ჩადებ. ანუ, როგორმე კომპრომისს გამონახავ.

**— ბევრ უცხოურ ქვეყანაში სახელმწიფო კი არ აფინანსებს ფეხბურთს, არამედ, ბიზნესმენებს უქმნის საინვესტიციოდ ხელსაყრელ გარემოს. არ შეიძლება, ჩვენთანაც ასე მოხდეს?**

— ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებს თუ შევხედავთ, ესპანეთში, ინგლისსა თუ გერმანიაში ფეხბურთს იქით შეუძლია სახელმწიფოს დახმარება, მაგრამ ეს ხომ საქართველოა. ჩვენ მაგალითი უნდა ავიღოთ ჩინეთისგან, სამხრეთ კორეისგან. უფრო დეტალურად ვთქვათ: საქართველო ვერასოდეს მიაღწევს იმას, რომ 10-15 კლუბი ბიზნესმენებისგან კარგად დაფინანსდეს და უძლიერესი ჩემპიონატი ჩავატაროთ. აქ ტალანტები უნდა გაიზარდოს მასობრივად, ევროპის ძლიერ კლუბებს უნდა მივაწოდოთ ფეხბურთელები, ოღონდ „ალანიას" დონის გუნდებზე არ მაქვს ლაპარაკი. შემდეგ ეს ტალანტები უცხოეთში უფრო დაღვინდებიან, ეროვნულ ნაკრებს გამოადგებიან, მაგრამ ჯერჯერობით ეს საქმე ვერ გამოდის — ბავშვთა ფეხბურთიდან არ მოდიან კადრები, რადგან იქ უმეტესად არაკვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ. საქართველო ვერაფრით იქცა ვარსკვლავების ფაბრიკად, არადა, აფრიკულ ქვეყნებში ეს პროექტი მშვენივრად ხორციელდება.

**— ესე იგი, თქვენც ეთანხმებით საერთო აზრს, რომ უმთავრესი სამუშაო ბავშვთა ფეხბურთშია ჩასატარებელი...**

— რა თქმა უნდა, იქ ხომ კატასტროფულად მცირეა მცოდნე მწვრთნელთა რიცხვი. ასე ერთი სულის შებერვით ტალანტები ვერ გაიზრდებიან. შესაძლოა, ერთი-ორი მათგანი უზადო ნიჭის წყალობით კარგი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ მასობრიობა დაკარგულია, იმიტომ, რომ ბავშვს თავიდანვე არასწორად ამზადებენ. ბავშვი რომ საფეხბურთო სკოლაში შედის, მას იქ პრობლემა უჩნდება — შეხვედება კი ისეთი მწვრთნელი, ვისაც ფეხბურთი უყვარს და იცის, როგორ აღზარდოს მოზარდი მოთამაშე?

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობას გვერდს ვერ ავუვლით. ნოდარ ახალკაცმა თქვა, ძლიერი უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანად საჭირო ფული არ გვაქვსო და გაიოზ დარსაძე ორი წლით დანიშნა ნაკრების მწვრთნელად. საინტერესოა თქვენი აზრი ზოგადად უცხოელი მწვრთნელის თაობაზე...**

— დიდი ფული რომ იყოს, უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა სჯობს, მაგრამ იგი აუცილებლად ძლიერი უნდა იყოს. თუ საშუალო ან დაბალი კლასისაა, როგორებიც აქამდე გვინახავს ქართულ ფეხბურთში, მაშინ მას ისევ ქართველი მირჩევნია. და კიდევ, ნაციონალურ მომენტს გავუსვამ ხაზს: მაგალითად, შვედი სვენ-გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრებში მაშინაა კარგი, სანამ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს, თორემ დიდ ფორუმზე ადგილობრივი მწვრთნელი სჯობს. რატომ? იქ უკვე ეროვნული სამუშაოებია ჩასატარებელი. აი, საქართველოს ნაკრები რომ ბორა მილუტინოვიჩმა მუნდიალზე გაიყვანოს, იქ უკვე მილუტინოვიჩი აღარ გჭირდება.

რაც შეეხება გაიოზ დარსაძეს, მისდამი დიდი პრეტენზიები არ მაქვს. ჯერჯერობით ამ კაცს გამოუსწორებელი შეცდომები არ დაუშვია. სულაც არაა გასაკვირი, თუ მწვრთნელს მომავლის ნაკრების შექმნა სურს და ახალგაზრდებს აჩვევს გუნდს.

**— სხვაზეც ვთქვათ: რომელ ნაკრებსა და კლუბს გულშემატკივრობს ლევან ბერძენიშვილი?**

— ბავშვობიდან „ბრაზილიელი" ვარ. პირველად 1966 წელს ვუყურე მსოფლიოს ჩემპიონატს, სადაც პელეზე უხეშად ნადირობდნენ, მაგრამ 1970 წელს ნამდვილი ფიესტა ვნახეთ. მახსოვს, ციხიდანაც როგორ ვგულშემატკივრობდი ბრაზილიას, 1998 წელს ფრანგებთან წაგების შემდეგ კი მეც ზოგიერთი ბრაზილიელივით კინაღამ ინფარქტი მივიღე. სამაგიეროდ, ახლა „ჩვენია" მსოფლიოს თასი.

„ბაიერნმა" მშვენიერ სტილში მოუგო „იუვენტუსს", რაც იმას მოწმობს, რომ გერმანული კლუბების პროგრესი არ შეჩერებულა, რადგან ბრაზილიელებს ყიდულობენ. იტალიური საკლუბო ფეხბურთი კი, ალბათ, კრიზისშია, იმიტომ, რომ სერია A-ს უპირობო ლიდერი ასე უშანსოდ არ უნდა აგებდეს.

კლუბებში მადრიდის „რეალს" ვქომაგობ. მის თამაშს რომ ვუყურებ, თბილისის „დინამოს" საუკეთესო წლები მახსენდება. რა ვუყო, ძალიან ვამსგავსებ „რეალის" სტილს მაშინდელ „დინამოს", ამ გუნდში იმხელა იმპროვიზაცია და იმდენად ლამაზი, ლაღი და შემტევი სტილია, ემოციები მეძალება. აბა, ქართული ფეხბურთი გერმანულს და მით უმეტეს, ინგლისურს ვერც დაემსგავსება. ისე, სხვათა შორის, „რეალამდე" „ბარსელონას" გულშემატკივარი ვიყავი.

**— და რატომ „უღალატეთ"?**

— საბჭოეთის დროს პოლიტიკური მნიშვნელობით თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის გუნდების დაპირისპირებას „ბარსა" — „რეალს" ვამსგავსებდი, ანუ „დინამოც" და „ბარსელონაც" დაჩაგრულებად მიმაჩნდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, მერე მივხვდი — კატალონიური კლუბი „ჩემი" არ ყოფილა. ესპანეთის პოლიტიკასაც უკეთ გავეცანი და ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც მეგონა. თანაც, რატომღაც „ბარსა" ყოველთვის ცუდად ეპყრობოდა ბრაზილიელებს: ჯერ რომარიო, მერე რონალდო და რივალდო მადლობის გარეშე გაუშვეს გუნდიდან. ახლა კიდევ შესაძლოა, რონალდინიოსაც ასე მოექცნენ...

**— ისევ ქართულ ფეხბურთს დავუბრუნდეთ: სტადიონზე ხშირად დადიხართ?**

— ნაკრების თამაშებს არ ვაცდენ, ზოგჯერ ეროვნულ სტადიონზე და „მიხეილ მესხზე" საქართველოს ჩემპიონატის მატჩებსაც ვესწრები, სხვაგან კი კარგა ხანია, არ ვყოფილვარ. წარმოიდგინეთ, რამდენიმე გამორჩეულ ქართულ გუნდს გულშემატკივართა მცირე ჯგუფიც კი არ ჰყავს — ესეც დაბალი სათამაშო დონიდან მოდის, დონეს კი ფული ქმნის.

**— ბოლოს ერთიც: იმედი მაინც თუ გაქვთ, რომ სახელმწიფო ფეხბურთისკენ გამოიხედავს?**

— მთავრობამ უნდა დაიჯეროს, ან უნდა დავაჯეროთ, რომ ფეხბურთი პერსპექტიული სფეროა. ბოლოს და ბოლოს, ბალეტს თუ აქვს პერსპექტივა, ფეხბურთს არ უნდა ჰქონდეს?! სპორტს და განსაკუთრებით ფეხბურთს ბიუჯეტიდან სამჯერ მეტი თანხა უნდა გამოეყოს, რადგან შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ ათმაგი თანხა ამოიღოს ამ ჩადებული ინვესტიციებით — ეს არის სწორი მენეჯმენტი.

პირადად მე ყველა ღონეს ვხმარობ და ვეცდები, უახლოეს მომავალში პარლამენტში დავაყენო საკითხი, რათა ქართულ ფეხბურთში სასიკეთო ძვრები მოხდეს.

**ილია ნანოგაშვილი**





**პარლამენტს ფეხბურთი იალაღზე სათამაშო არ უნდა ეგონოს**



თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში მიჯრით შვიდი თამაში მოიგო და პირველადგილოსან „ლოკომოტივს“ ოდენ ქულით ჩამორჩება. „ვიტ ჯორჯია“ არის კლუბი, რომელსაც ასე თუ ისე გამართული ინფრასტრუქტურა, თვითმყოფადი სახე აქვს და 2003-04 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

და რა მიზნები აქვს ახლა „ვიტ ჯორჯიას“? ამ კითხვით დავიწყეთ ინტერვიუ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან...

# გურამ რუხაძე: თუ შევცდი, ამის თქმა არ მომერიდება

— კონკრეტული მიზანი ყოველ სეზონში გვაქვს — რაც შეიძლება მაღალ ადგილზე გასვლა და რომელიმე ევროსაგზურის მოპოვება. ზედიზედ შვიდი თამაშის მოგება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მიზნების მხრივ კარდინალურად არაფერი შეცვლილა.

**— ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია“ ისეთ გუნდად იქცა, რომელიც ხან წარმატებით თამაშობს, ხან პირიქით — ეთანხმებით ამ აზრს?**

— „ვიტ ჯორჯია“ ყოველთვის მოწინავე გუნდი იყო, ჩემპიონობამდე მეორე და მესამე ადგილებზეც გავედით, სისტემატურად ვთამაშობთ ევროტურნირებზე, თუმც წინა სეზონი მართლაც ჩავაგდეთ — მეექვსე ადგილი ჩვენთვის კარგ შედეგად ვერ ჩაითვლება. ჩვენ გავაანალიზეთ ამის მიზეზები და ახლა უკეთესი შედეგებიც გვაქვს.

**— მთლიანად კლუბის პოლიტიკის მხრივაც არ აპირებთ კარდინალური ცვლილებების გატარებას? „ვიტ ჯორჯია“ კვლავაც სხვებისთვის ფეხბურთელების მიმწოდებელი კლუბი იქნება?**

— ჩვენ რომ ფეხბურთელების მიმწოდებული კლუბი ვართ, ეს არსებულმა რეალობამ მოიტანა. თუ ფეხბურთელებს არ გავასხვისებთ, გუნდში პირობებს ვერ გავაუმჯობესებთ. „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტი ყოველწლიურად 20-30 პროცენტით იზრდება, მაგრამ კლუბი მაინც საჭიროებს დოტაციას. წინა სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი არ გაუყიდია, მაგრამ კლუბის ბიუჯეტი მაინც გავზარდეთ. ჩვენი მიზანია, რომ შემოსავლებმა დაფაროს ხარჯები, მაგრამ ეს თანხა დივიდენდებში კი არ წავა, არამედ, კლუბის მომძლავრებას მოხმარდება.

**— „ვიტ ჯორჯიაში“ ახლაცაა რამდენიმე სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი. ამბობენ, რომ კლუბი მათ ძალიან ძვირად აფასებს...**

— ასე არ არის, ფეხბურთელებს მხოლოდ რეალურ ფასს ვადებთ, რითაც მათაც ვუწყობთ ხელს წინსვლაში და ჩვენს კლუბსაც. ვერავინდამისახელებს ერთ ფაქტს მაინც, როცა ჩვენ ფეხბურთელს არარეალური, გაბერილი თანხა დავადეთ და ამის გამო ჩაიშალა ტრანსფერი.

**— სანდრო იაშვილი ფაქტობრივად მუქთად რატომღა დაუთმეთ თბილისის „დინამოს“?**

— იაშვილი ჩვენ არც გაგვიყიდია, უბრალოდ, ყველაფერი ფეხბურთელის სასარგებლოდ გადავწყვიტეთ: მაშინ „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი ჯანი კარნევალი იყო, ვინც იაშვილს ძირითადში არ ათამაშებდა, შეცვლებზე თამაში კი სანდროს არ აკმაყოფილებდა, თანაც მამამისი ჩემი ახლო მეგობარია და მთხოვა, რომ მხოლოდ საკომპენსაციო თანხის საფასურად გამეშვა სანდრო „დინამოში“. ასე იყო საქმე, თორემ იაშვილის გაშვება მე არანაირად არ მინდოდა, მას ჩვენთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ მხოლოდ საკომპენსაციო თანხის საფასურად დავუთმეთ „დინამოს“ — ადამიანურ მომენტებს ფეხბურთზე და ფულზე მაღლა ვაყენებ.

**— „ვიტ ჯორჯია“ მეტწილად რომელ ქვეყნებში აპირებს ფეხბურთელების გასხვისებას?**

— არ გვინდა, რომ ჩვენი ფეხბურთელები აზერბაიჯანში წავიდნენ, უფრო რუსულ და უკრაინულ ბაზარზე ვიმუშავებთ, არაა გამორიცხული ვიტჯორჯიელების წამყვან ევროპულ ლიგებში გადასვლაც. უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „ვიტ ჯორჯიას“ განაცხადში 27 ფეხბურთელია და სატრანსფეროდ ყველა საინტერესოა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გუნდში სტაბილურობაა — სეზონში „ვიტ ჯორჯიადან“ სამ-ოთხ ფეხბურთელზე მეტი არ მიდის, „ვიტ ჯორჯიაში“ ფეხბურთელთა მასობრივი წასვლა არასდროს მომხდარა, რადგან ეს გუნდს დაანგრევს. ვინ წავა და ვინ მოვა — ასეთ გათვლებს ჩვენ ორი-სამი წლით ადრე ვაკეთებთ.

**— ჩემპიონობა მიმდინარე სეზონში — ასეთი გათვლა არ გაგიკეთებიათ?**

— ჩემპიონობაზე უარს, რა თქმა უნდა, არ ვიტყვით. ამ ეტაპზე გუნდი წარმატებულად რომ თამაშობს, ფეხბურთელების გარდა ეს მწვრთნელთა დიდი დამსახურებაცაა — ნესტორ მუმლაძე, ზურაბ ბერიძე და დავით ჯანელიძე საქმეს კარგად უძღვებიან.

**— ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად ვის მიიჩნევთ?**

— ჩემპიონატი ახლა ორ ბანაკად დაიყო — ზედა რვა გუნდი მკვეთრად აღემატება ქვედა რვას თამაშის ხარისხითაც და ფინანსური შესაძლებლობებითაც. ვფიქრობ, ზედა რვა გუნდიდან ყველას აქვს შანსი მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად.

**— ვიტჯორჯიელების წამყვან ევროპულ გუნდებში შესაძლო ტრანსფერები ახსენეთ, მაგრამ თქვენი გუნდის ფეხბურთელებს ახალგაზრდულ თუ ეროვნულ ნაკრებში არ იწვევენ. თქვენ კი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრიც ხართ და ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირეთ...**

— საკუთარ თავს ფედერაციის ერთიანი გუნდის წევრად მივიჩნევ და ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებასაც მხარი დავუჭირე. თუ ჩემი ეს გადაწყვეტილება არასწორი გამოდგება, არ მომერიდება იმის თქმა, რომ შეცდომა დავუშვი.

**დავით თავართქილაძე**

# ზესტაფონის სტრესული ფონი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები და „ზესტაფონი“ კობა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით ერთობ უფერულად თამაშობენ და ბოლო ოთხ მატჩში მოგება არ იციან. ჟორჟიკაშვილის ახალგაზრდული ნაკრები ჯერ ბოლნისში ყაზახებთან დამარცხდა, მერე საბერძნეთში; „ზესტაფონი“ კი შინ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ ქუთაისის „ტორპედოსთან“ ფრესლა გამორჩა, ხოლო გუშინწინ „ვიტ ჯორჯიას“ შემოემარცხა დიდი ანგარიშით.

ასეთი ცუდი შედეგის ასახსნელად კობა ჟორჟიკაშვილს, რა თქმა უნდა, სათავისო მიზეზები აქვს, თუმც ჩვენთვის გასაკვირი სხვა იყო, კერძოდ ის, რაც „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ითქვა — პრესისგან „ზესტაფონზე“ ზეწოლააო...

— მსგავსი არაფერი მითქვამს. ეს გუნდის კაპიტნის კახა ჩხეტიანის სიტყვებია, რომელიც პრესკონფერენციაზე ჩემთან ერთად იყო, მე კი მას დავეთანხმე — გვითხრა გუშინ *კობა ჟორჟიკაშვილმა* — იცით, ფეხბურთელები ყოველი მატჩისას ისედაც ბევრს ნერვიულობენ.

**— ალბათ, უკვე თქვენც ნერვიულობთ. ახალგაზრდულ ნაკრებსა თუ „ზესტაფონს“ ხომ ზედიზედ ოთხი მატჩია, არ მოუგია...**

— არ მოგვიგია, მაგრამ ყველაფერს თავისი ახსნა აქვს. მაგალითად, ახალგაზრდული ნაკრები ყაზახეთთან და ბერძნებთან მატჩების წინ „სისხლისგან დაიცალა“ — ბევრმა ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში გადაინაცვლა. მათ შემცვლელებს კი გუნდთან სწრაფად მორგება გაუჭირდათ, თუმც კმაყოფილი ვარ, რომ საქმეში ისინიც ვნახე. ხოლო „ზესტაფონზე“ გეტყვით, რომ ეს გუნდი ჩემი მომზადებული არ არის, არც სელექციაა ჩემი გაკეთებული... „ზესტაფონის“ მწვრთნელად კლუბის ხელმძღვანელობის თხოვნით ვმუშაობ. გუნდი შუა გზაზე ჩავიბარე და ჯადოსნური ჯოხი არ მაქვს, ხელის ერთი მოსმით სასწაული მოვახდინო.

**— სასწაულს, მგონი, არც არავინ გთხოვთ, მაგრამ შინ 0:4 წაგება, ცოტა არ იყოს, უხერხულია...**

— რა მნიშვნელობა აქვს, რა ანგარიშით წააგებ?! დიდი ანგარიშით წაგება ეგებ ჩემთვის სასარგებლოც იყოს, რათა ყველაფერი უარყოფითი ერთბაშად დავინახო. „ზესტაფონს“ აქვს თავისი გზა და მიზანი, რისკენაც ნელ-ნელა მიდის. მოთმინებაა საჭირო.

**— გავიგეთ, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასთან ცხარე საუბარი გქონიათ...**

— მატჩის შემდეგ პრეზიდენტს, ქომაგებსა და ფეხბურთელებს შევხვდი. მიმაჩნია, რომ ჩვენ შორის დასამალი არაფერია. გუნდის მომავალზე ვისაუბრეთ.

*კობა ჟორჟიკაშვილთან საუბრის მერე „ზესტაფონის“ კაპიტან კახა* ***ჩხეტიანსაც*** *დავუკავშირდით და მისი ნათქვამის განმარტება ვთხოვეთ:*

— ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ პრესაში „ზესტაფონზე“ ძალიან ბევრი იწერება, რაც ჩვენზე უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ „ზესტაფონს“ ფეხბურთის ფედერაცია მფარველობს, რაც მართალი არ არის. ჩვენზე, ფეხბურთელებზე კი ამგვარი განცხადებები დამთრგუნველად მოქმედებს. ვფიქრობ, „ზესტაფონი“ სწორ გზაზე დგას და ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს.

**ძობა ინასარიძე**



კობა ჟორჟიკაშვილი





სასტუმრო „სანდერსონიდან" გამოსული კრისტიანო რონალდო შარში გაეხვა

# რონალდო დააკავეს

## ქალი ამბობს, გამაუპატიურაო

**ლონდონის** საქალაქო პოლიციის „საფირონის" სპეცგუნდმა „მანჩესტერის" ფეხბურთელი კრისტიანო რონალდო დააპატიმრა, დაკითხა და თანხის შეტანის შემდეგ გაათავისუფლა.

ფეხბურთელი გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი.

სკოტლანდ იარდმა დაადასტურა რომ 20 წლის ჭაბუკი დაიჭირეს და თავდებით გაუშვეს, თუმცა, გვარსახელი არ დაუსახელებია.

საქმე ეხება ეპიზოდს, რომელიც შუა ლონდონის ერთ სასტუმროში მომხდარა: პორტუგალიელი ქალზე ძალის გამოყენებაშია ეჭვმიტანილი.

„მანჩესტერმა" განაცხადა, რომ ამჟამად კომენტარს არ გააკეთებს.

ამ საქმეზე დაუკავებიათ კიდევ ერთი, 30 წლის კაცი, ოღონდ მალევე გაუშვიათ. პოლიციას კი სავარაუდო ეჭვმიტანილისა და სავარაუდო დაზარალებულის ჩვენებები პროკურატურაში გადაუგზავნია, სადაც გადაწყვეტენ კიდეც აღძრან თუ არა საქმე, ვინაიდან ფეხბურთელებისა და მათზე მონადირე ქალების ცრუგაუპატიურებათა ისტორიები ინგლისში ხშირია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ვერონმა ინტერზე უარი თქვა



**ინტერელმა** ხუან სებასტიან ვერონმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ 2005-06 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ იტალიურ სერია **A**-ს დატოვებს და საბურთაოდ არგენტინაში გაემგზავრება.

„შეიძლება ეს ჩემს კარიერაში უკანასკნელი სეზონი გამოდგეს. მინდა, არგენტინას დავუბრუნდე. „ინტერში" აღარ ვითამაშებ. გადაწყვეტილებას მაშინაც კი არ შევცვლი, „სან სიროს" გრანდმა წლეულს რაიმე დიდი ჯილდო რომ მოიგოს" — აღნიშნა პატაგონიელმა მოთამაშემ „ლა გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში.

ვერონს სამშობლოში დაბრუნების შესახებ ადრეც უთქვამს, ახლა კი „ნერო აძურიდან" წასვლას ასაკს და საკუთარ ოჯახს უკავშირებს.

„კარგი იქნება, თუ ჩემი დიდ ფეხბურთთან გამომშვიდობება არგენტინაში მოხდება. თან ოჯახის ინტერესებსაც ვითვალისწინებ, ვიცი, რომ ისინი სამშობლოში თავს უფრო კარგად იგრძნობენ" — თქვა ოკეანისგაღმელმა მობურთალმა.

არგენტინული გაზეთების ცნობით, ხუან სებასტიან ვერონი „ინტერის" მერე „რივერ პლეიტის" ფეხბურთელი გახდება.

**ლადო ხომერიკი**

# სევილიას ფავორიტი ხოსემი

**ხუანდე რამოსი**, ესპანური „სევილიას" დამრიგებელი, თავისი გუნდის უკანა ხაზის გაძლიერებას აპირებს. ანდალუზიურ კლუბს მარჯვენა მცველის პოზიციაზე ამჟამად მარტო ერთი ფეხბურთელი ჰყავს, დანიელ ალვეში. „მარკას" ცნობით კი რამოსის ფავორიტი მოთამაშე ალბიონური „ლივერპულის" ხოსემია.

სევილიელი თავკაცი თანამემამულე ხოსემის „მალაგაში" წვრთნიდა და მისი ავანჩავანი ზედმიწევნით კარგად იცის. ინგლისური გაზეთების მიხედვით, რაფაელ ბენიტესი შეგირდის უკან, ესპანურ პრიმერადივიზიონში დაბრუნებას დიდი სიხარულით არ შეხვდება.

ხოსემიმ საამსეზონოდ ინგლისურ პრემიერლიგაში 2 და ევროტურნირებზე 4 მატჩი ჩაატარა, რაც იმას ნიშნავს, რომ „სევილიაში" გადასვლის შემთხვევაში ანდალუზიელებთან ერთად უეფას თასზე ვეღარ იბურთავებს.

„ხუანდე რამოსის წარმომადგენლები უკვე დამიკავშირდნენ. თუმც „სანჩეს პისხუანზე" გადასვლის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, ამას დრო აჩვენებს" — უთხრა თავად ფეხბურთელმა „მარკას" ჟურნალისტს.

ესპანური მედია იმ თანხასაც გვიმხელს, რომელსაც „სევილია" ხოსემის სანაცვლოდ გადაიხდის — ანდალიზელებს „ლივერპულისთვის" 3 მილიონი ევრო შეუთავაზებიათ.

**ლადო ხომერიკი**




# მონაკოს სკალონი უნდა

**ფრანგულ** „მონაკოს" ზამთრის სატრანსფერო ბაზრის დროს გალისიური „დეპორტივოს" ფეხბურთელის, ლიონელ სკალონის შეძენა გადაუწყვეტია. ლაკორუნიელთა კაპიტანს ამჟამად მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, რაც გალების შანსებს ძალიან ზრდის. თანაც სკალონი „მონაკოს" ახალი დამრიგებლის, იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინის ერთ-ერთი ფავორიტი მობურთალი ყოფილა.

როგორც „ეკიპი" აცხადებს, მიშელ პასტორი, ფრანგული კლუბის პრეზიდენტი, ფულს არ დაიშურებს, რათა მისმა „მონაკომ" კრიზისს თავი დააღწიოს. სახელგანთქმული დიდიე დეშანის ექსშეგირდები დღეს შინაური ჩემპიონატის ცხრილში მეექვსე ადგილზე არიან. „ლუი მეორეს" არენაზე კი არგენტინელი ბერნარდი ბურთაობს, ლიონელ სკალონის თანამემამულე, რომელსაც გუნდის თავკაცებთან ბევრჯერ ულაპარაკია დეპორელის საფეხბურთო ღირსებებზე.

თუ „მონაკომ" თავისი გაიტანა, სკალონი საფრანგეთს იანვარში მიაკითხავს. პატაგონიელი ნახევარმცველი გალისელთა დამრიგებლის, ხოაკიმ კაპაროსის გეგმებში არ შედის და ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდება. უთამაშებელ სკალონის კი არგენტინის ნაკრების თავკაცი ხოსე პეკერმანი გერმანიის მუნდიალზე არ წაიყვანს.



„მინდა, „დეპორთან" ჩემი გაუგებრობა რაც შეიძლება, მალე დასრულდეს. თუ „კაპაროსი ძირითადში სკალონის ყოფნაზე ისევ უარს იტყვის, იძულებული ვიქნები, ლა კორუნია დავტოვო და „კარიერა სხვა გუნდში განვაგრძო" — განუცხადა ოკეანისგაღმელმა მოთამაშემ „მარკას".

ფრანგულ-ესპანური სპორტული მედიის ცნობით, „მონაკოს" უფროსობა მზად არის, ლიონელ სკალონის სანაცვლოდ „დეპორტივოს" 3 მილიონი ევრო გადაუხადოს.

**ლადო ხომერიკი**



რომარიო ფეხბურთს ვერ ელევა

# დიდი ბრაზილიელი კვლავ მოედანზე რჩება

**39 წლის** რომარიო დიდ ფეხბურთში დარჩენას კიდევ ერთი სეზონით აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელმა ლეგენდამ ბუცების ლურსმანზე დაკიდების შესახებ უკვე გამოაცხადა, ჩანს, რომ ბურთთან და მოედანთან გამომშვიდობებას ჯერ არ აპირებს.

„არაფერი დაშავდება, თუ ერთ წელს კიდევ ვითამაშებ. ფიზიკურად და სულიერად თავს მშვენივრად ვგრძნობ" — უთხრა „ვასკო და გამას" მოიერიშემ ბრაზილიურ „ო დიას".

ექსბარსელონელმა თავისი ფეხბურთიდან წასვლის ამბავი მსოფლიოს გასული წლის დეკემბერში ამცნო. უფრო მეტიც, რომარიომ ბრაზილიაში და მექსიკაში ვეტერანთა გუნდების შემადგენლობაში საბენეფისო მატჩებიც ჩაატარა. მერე კვლავ ბურთაობის სიყვარულმა შეაწუხა და „ვასკო და გამასთან" კონტრაქტიც გაახანგრძლივა. მინდა, ბრაზილიის ჩემპიონი კიდევ ერთხელ გავხდეო, უთქვამს რომარიოს ჟურნალისტებისთვის.

**ლადო ხომერიკი**

# სპორტინგს თავკაცი შეუცვალეს

**ლისაბონის** „სპორტინგს" ახალი დამრიგებელი ჰყავს. სამშაბათს ლუზიტანელთა მწვრთნელობა ჟოზე პეშეირუმ დატოვა, გუშინ კი „სპორტინგის" თავკაცობა პაულო ბენტუს ჩააბარეს.

„ვეცდები, ჩემს კლუბს ბევრი გამარჯვება მოვუტანო. დამრიგებლის სკამის დაჭერას ტყუილუბრალოდ არ ვაპირებ" — უთხრა ლისაბონელმა სპეციალისტმა „ო ჟოგოს" კორესპონდენტს.

პაულო ბენტუ ფეხბურთელობის ჟამს „ბენფიკაში", „სპორტინგსა" და ესპანურ „ოვიედოში" ბურთაობდა. სანამ მწვრთნელად დანიშნავდნენ, თავის გუნდში უკვე ჰქონდა მუშაობის გამოცდილება, გუშინდლამდე „სპორტინგის" ახალგაზრდებს მოძღვრავდა.

„ბენტუ ახალგაზრდა სპეციალისტია, მაგრამ მისი ნიჭის იმედი გვაქვს" — აღნიშნა კლუბის პრეზიდენტმა ფილიპე სუარეშ ფრანკომ მედიასთან საუბარში. მოგახსენებთ, რომ ლისაბონელთა დამრიგებელი 36 წლისაა

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური

## წვიმა სტამბოლში

**E ჯგუფი**

**ფენერბაჰჩე 3:3 შალკე**

1:0 ლუსიანო (14), 1:1, 1:2 ლინკოლნი (59, 62), 2:2 ნობრე (73), 2:3 კურანი (77), 3:3 აპია (79)

ფენერბაჰჩე: დემირელი, ბალჩი, ტურაჩი, ლუსიანო, უმითი, საჰინი, ალექსი, მ. აურელიო (თუნჯაი 67), ნობრე, აპია, ანელკა

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

შალკე: როსტი, ბორდონი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, პაულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი (კურანი 46), ლარსენი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: მ. აურელიო, ალექსი, კობიაშვილი, ლუსიანო, რაფინია, როდრიგესი, ალექსი

გაძევება: ალექსი (88)

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

45 000 მაყურებელი



AFP სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — შალკე 3:3. მარსიო ნობრემ თავისი გოლი მაინც შეაგდო

**გოლების** წვიმა თუ გნებავთ, ეს მატჩი უნდა გენახათ, მით უმეტეს, ექვსიდან ხუთი გოლი 20-წუთიან მონაკვეთში როცა გადის...

სასტარტო შემადგენლობიდან ცხადი შეიქნა, „ფენერი" უეჭველად მოსაგებად რომ ითამაშებდა. კრისტოფ დაუმმა ერთბაშად სამ ფორვარდი შეუშვა მინდორზე — მარსიო ნობრე და ნიკოლა ანელკა მაქსიმალურად წინ იყვნენ აწეულნი, ალექსი კი ოდნავ უკნიდან უტევდა.

რალფ რანგნიკის ტაქტიკა უფრო ფრთხილი იყო: „შალკემ" თამაში ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, ჰამიტ ალტინტოპით დაიწყო, კევინ კურანის შემცვლელი ებე სანდი კი ცოტა უკან გახლდათ დახეული.

შევნიშნოთ, რომ მატჩმა თავსხმა წვიმის თანხლებით ჩაიარა, რასაც უფრო მალე გერმანელები შეეგუენ. პირველი მომენტიც, გელზენკირხენელების იყო, თუმცა მეკარე დემირელმა დარტყმული ზედმეტი დავიდარაბის გარეშე აიღო. მალე ლარსენს ჰქონდა უკეთესი შანსი და მეკარეც უძლური იქნებოდა, ფეხბურთის კარისთვის რომ არ აეცილებინა.

ანგარიში კი თურქებმა გახსნეს, ალექსმა ლუსიანოს ბურთი თავზე დაისვა და მანაც აუღებელი დაარტყა.

გოლს ისევ გერმანელთა იერიშები ჩაენაცვლა. გელზენკირხენელები იმდენად აქტიურობდნენ, რომ შიგადაშიგ თავდაცვა ავიწყდებოდათ და ერთ ეპიზოდში კინაღამ დაისაჯნენ — მარსიო ნობრე როსტთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა.

შესვენების მერე „შალკე" საბოლოოდ დაეპატრონა მოედანს და გასამრჯელოდ ლინკოლნის დუბლი მიიღო.

აღმოჩნდა, რომ სამწუთიან მონაკვეთში ლინკოლნის დუბლი მხოლოდ დასაწყისი იყო — ცოტა ხანში ნობრემ თავურით გაათანაბრა.

კიდევ სამი წუთი და, შეცვლაზე შესულმა კურანიმ გაიტანა, თუმცა სადაც სამართალია, მეკარე დემირელიც უნდა ვახსენოთ: გოლი მეკარის უხეშ შეცდომას მოჰყვა, მას ბურთის მოგერიება სურდა, მაგრამ ფეხი ააცილა...

თუმცა „ფენერმა" კიდევ ერთხელ შეძლო გათანაბრება და მართალია, ბოლოსკენ ალექსი გაუძევეს, მეტი შეცდომა აღარ მოსვლია.

**მილანი 0:0 პსვ**

მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი (სერჟინიო 74), კაკა, შევჩენკო (ინძაგი 49), ვიერი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

პსვ: გომესი, ალექსი, რაიციგერი, ოოიერი, ლემეი, აფელაი, სიმონსი, კოკუ, ბისლი, რობერტი (ისმაელი 63), ფარფანი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: რაიციგერი, ინძაგი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

39 298 მაყურებელი

**ჰოლანდიელებს** გაუჭირდათ, ძალიან გაუჭირდათ. ლიგის სეზონის ფინალისტი მთელი ორი ტაიმი უტევდა, თუმცა გოლი ვერ გაიტანა. მიზეზი? ერთი რომ, პსვ თავდადებით იცავდა თავს და ამასთანავე, „მილანის" იერიშებსაც რაღაც აკლდა — ერთია, რომ ბევრს უტევ და მეორეა, როგორ უტევ.

კარლო ანჩელოტიმ როტაციის პრინციპს მიმართა და ეინდჰოვენელების წინააღმდეგ ხუთი ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, კვირას „კალიარისთან" რომ არ ჰყოლია. როტაციის შედეგად, ალბერტო ჯილარდინიომ ადგილი კრისტიან ვიერს დაუთმო, ხუთთვიანი უქმობის მერე მობრუნებული ფილპო ინძაგიმ კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

უშუალოდ მატჩის წინ ექიმებმა კარგი ამბავი ამცნეს პსვ-ს მწვრთნელს გუს ჰიდიკნს — ექიმებმა ჯეფერსონ ფარფანს თამაშის ნება დართეს. პერუელმა მოედნის შუაში დამარკუს ბისლის გვერდით ითამაშა[illegible] კი ჰიდინკს რობერტი ჰყავდა.

ახლა შემადგენლობებიდან თავად მატჩზე გადავერთოთ და ვიერის აქტიურობა აღვნიშნოთ. ის სხვებზე მეტად ჩანდა მოედანზე და უკვე მეორე წუთზე შეეძლო გატანა — ზეედორფის პასი მიიღო, დარტყმა კი ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. სხვათა შორის, ვიერის „მილანის" ოფიციალურ მატჩებში ჯერ გოლი არ გაუტანია.

გულხელდაკრეფილნი არც მასპინძელთა უკანახაზელები ყოფილან. ისინი ძირშივე აღშობდნენ სტუმართა საფირმო კონტრშეტევების წამოწყების მცდელობებს. საპირისპირო მხარეს კი ჰოლანდიელი მცველებიც არანკლებ ირჯებოდნენ. მათგან სხვებზე მეტად ოიერი ყოჩაღობდა, ვინც ანდრეი შევჩენკოს ფეხი არ გაანძრევინა, ეს კი, მოგეხსენებათ, იოლი საქმე არ არის. უკრაინელს, ფაქტობრივად, ერთადერთი მომენტი ჰქონდა, როცა მაინცდამაინც მეკარეს დაუმიზნა. აქვე ვთქვათ, რომ გომესმა ორ სხვა ეპიზოდშიც იხსნა კარი: ჯერ პირლოს, მერე კი კახა კალაძეს რთული ბურთები აუღო.

თუმცა კალაძის ეპიზოდი მეორე ტაიმისა იყო, იქამდე კი, შესვენებიდან რამდენიმე წუთში, შევჩენკო ინძაგიმ შეცვალა.

მეორე ტაიმში „მილანმა" ტემპს უმატა, ზეედორფი სულ უფრო და უფრო თამამად მიიწევდა კარისკენ, მაგრამ ამ მატჩის გმირობა გომესმა არავის დაანება.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

## ხოაკინმა დაიჯერა

**G ჯგუფი**

**ჩელსი 4:0 ბეტისი**

1:0 დროგბა (24), 2:0 კარვალიუ (44), 3:0 ჯო კოული (59), 4:0 კრესპო (64)

ჩელსი: კუდიჩინი, გალასი, კარვალიუ, ტერი, დელ ორნო, შ. რაიტ-ფილიპსი (გუდიონსენი 67), ესიენი, მაკელელე (დიარა 76), ლამპარდი, ჯო კოული, დროგბა (კრესპო 46)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, ო. ლოპესი (ხისკო 46), დ. რივასი, მელი, ვარელა, რივერა, ანხელი (ასუნსაო 57), ედუ, ხოაკინი, ოლივეირა

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: შ. რაიტ-ფილიპსი, დ. რივასი, ვარელა, ხუაკინი, გალასი, ხისკო, რივერა

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

36 457 მაყურებელი



AFP ლონდონიდან

ჩელსი — ბეტისი 4:0. ასიერ დელ ორნოს, რიკარდუ კარვალიუსა და დიდიე დროგბას სასიხარულო ბევრი ჰქონდათ

**„ჩელსი"** — „ლივერპული" 4:1, „ჩელსი" — „ბოლტონი" 5:1, „ჩელსი" — „ბეტისი" 4:0... მაურინიუს დამოძღვრილები ყველაფერს ფრიადზე ასრულებენ და ისე დასეირნობენ მეტოქის დაცვაში როგორც კარაქში ცხელი დანა.

„ბეტისის" მარჯვენა ნახევარმცველმა ხოაკინმა მატჩამდე თქვა, „ჩელსის" დაუმარცხებლობის არ მჯერაო. ხოაკინმა ოთხჯერ ნახა, მეკარე დობლარს როგორ გამოჰქონდა ბურთი კარიდან და ახლა ალბათ დაიჯერა, რომ „ჩელსის" ძლევა იოლი არაა.

ჟოზე მაურინიუმ ამ ზაფხულს ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მიკაელ ესიენი უნდა ვიყიდოო. პორტუგალიელმა აბრამოვიჩის ქისას ორი ათეული მილიონი მოაკლო, ესიენი შეიძინა და არც შემცდარა. განელი ფეხბურთელი ფუტკარივით შრომობს და მაურინიუს ჯილა გახდა.

„ჩვენ არავის არაფერს ვუმტკიცებთ — თქვა „ჩელსის" თავკაცმა „ბეტისთან" მატჩის შემდეგ — მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც გვევალება. ამჟამად რამდენიმე მიზანი გვაქვს: პრემიერლიგის მოგება და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა. შვიდი ქულა უკვე მოვაგროვეთ და ეს საკმაოდ კარგია. ასეთ მატჩებში მნიშვნელოვანია, რომ პირველმა გაიტანო. ესპანელებმა უკეთ დაიწყეს თამაში, მაგრამ ანგარიში ჩვენ გავხსენით. მეტოქე მთელი მატჩის განმავლობაში კარგად გამოიყურებოდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ სევილიაში მძიმე ბრძოლა გველის. შესვენების შემდეგ „ბეტისმა" ზურგი მოიშიშვლა, რის გამოც მეხუთე გოლის გატანაც შეგვეძლო. ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ კი მიკაელ ესიენს მივიჩნევ. მან ყველა ორთაბრძოლა მოიგო და ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. ესიენი „ბეტისმა" ვერ შეაჩერა".

სევილიელთა მწვრთნელი ლორენს სერა ფერერი: „მარცხის მიუხედავად, ბევრი რამ ვისწავლეთ, რაც მომავალში უნდა გამოგვადგეს. ვულოცავ „ჩელსის" ფეხბურთელებს, რომლებმაც დღეს აშკარად გვაჯობეს, მაგრამ სხვაობა მაინც არ ასახავს თამაშს. „ჩელსის" შეჩერება შესაძლებელია. მაგალითად, „ბარსელონას" ან „რეალს" ასე იოლად ვერ გაუსწორდებიან. ჩემპიონთა ლიგაში პირველად ვართ, თან ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები გვერგო. მშვიდად უნდა გავერკვიოთ ვითარებაში. ნებისმიერ ფეხბურთელს, მეტი თვითკრიტიკა მართებს. რაც პროგრესში დაეხმარება. ბოლოს იმასაც ვიტყვი, რომ მიგელ ანხელი დაშავდა, ოსკარ ლოპესს კი კუნთი გაუწყდა".

კარლო კუდიჩინიმ, რომელმაც პეტრ ჩეხის ადგილი დაიკავა, განაცხადა: „ძალიან მიხარია, გოლი რომ არ გავუშვი. სასიამოვნოა ძირითად შემადგენლობაში თამაში და ახლა მშვიდად ვართ, რადგან მერვედფინალში ადგილი თითქმის გავინაღდეთ".

მესამე გოლის ავტორი ჯო კოული: „შედეგით და თამაშის კმაყოფილი ვარ. ოთხი გოლის გატანა ჩემპიონთა ლიგის მატჩში იოლი არაა. ჩემს გოლს კი მამას ვუძღვნი, რომელიც საავადმყოფოშია".

**ანდერლეხტი 0:1 ლივერპული**

0:1 სისე (20)

ანდერლეხტი: პროტო, ვანდენ ბორე, ტიინენი (ლ. ტრაორე 50), დემანი, დეშახტი (სერჰატი 75), ვილჰელმსონი, ვანდერჰაიგე (ბასეჯო 61), ზეტერბერგი, გოორი, იესტეროვიჩი, მ. მპენზა

მწვრთნელი: ფრანკ ვერკაუტერენი

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ხოსენი, ჰიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ალონსო, ჰამანი, რიისე (ვორნოკი 88), სისოკო (ზენდენი 82), სისე (კროული 75)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ალონსო, რეინა

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

21 824 მაყურებელი

**ჯიბრილ სისემ** ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა, „ლივერპულმა" კი მოიგო. ფრანგი ფორვარდის გოლით მერსისაიდელებმა პრემიერლიგაში „ბლექბერნს" სძლიეს, ამჯერად კი ბრიუსელში „ანდერლეხტსაც" აჯობეს.

„სისე თავის საქმეს კარგად ასრულებს — თქვა რაფაელ ბენიტესმა — მან გაიტანა და კიდევ ერთი მატჩი მოვიგეთ. მეორე ტაიმში იმიტომ გავიყვანე, რომ დაღლილი ჩანდა. მერვედფინალისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით, ახლა პრემიერლიგაში უნდა გამოვასწოროთ ვითარება, თან ტრავმირებული ფეხბურთელებიც დაგვიბრუნდებიან. კონტრშეტევებზე კარგად ვითამაშეთ და ახლა ვიცი, რომ თუნდაც „ბეტისთან" მეხუთე ტურში შინ რომ მოვიგოთ, ჯგუფიდან გასვლა გარანტირებული გვექნება".

„ანდერლეხტის" მწვრთნელი ფრანკ ვერკაუტერენი: „ჩვენ მესამე მატჩი წავაგეთ 0:1, მაგრამ ვხედავ, რომ ჩემს ფეხბურთელებს ძლიერ მეტოქეებთან ტოლ-სწორად შეუძლიათ თამაში. ვერ გამოვიყენეთ საგოლე მომენტები და კვლავ დავმარცხდით, თუმცა მატჩებიც ხშირად სცოდავენ. სულ ცოტა ორი პენალტი გვეკუთვნოდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბეტისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 4 | 0:3 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური

**F ჯგუფი**

**რეალი 4:1 რუსენბორგი**

**0:1 სტრანდი (40), 1:1 ვუდგეიტი (48), 2:1 რაული (52), 3:1 ელგერა (68), 4:1 ბექჰემი (82)**
**რეალი: კასილიასი, დიოგო, ვუდგეიტი (მეხია 85), ელგერა, რ. კარლოსი, ბექჰემი, პ. გარსია, ზიდანი (გრავესენი 70), ბაპტისტა (გუტი 46), რობინიო, რაული**
**მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო**
**რუსენბორგი: იონსენი, ბასმა, კვარმე, რისეტი, დორსინი, სტრანდი (ტეტეი 46), სკიელბერდი (ვინსენსი 75), სოლი, ბრაატენი, შელსტადი (ფ. იონსენი 63), სტორფლორი**
**მწვრთნელი: პერ-მატიას ჰიოგმო**
**გაფრთხილება: პ. გარსია**
**მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)**
**69 053 მაყურებელი**

## გალაქტიკამ რუსენბორგი გადაყლაპა



რეალი — რუსენბორგი 4:1. ჯონათან ვუდგეიტმა ანგარიში ამ თავურით გაათანაბრა

AFP მაღრიდიდან

**აქამდე** ჯონათან ვუდგეიტს „რეალში“ მარტო საკუთარ კარში გაჰქონდა გოლები და როცა 48-ე წუთზე ბექჰემის პასის მერე მან მეტოქე „რუსენბორგიც“ დაამწუხრა, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩასებმა შვებით ამოისუნთქეს. თუმცა ჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ...

თამაში მადრიდელთა შეტევებით დაიწყო. ნორვეგიელების მეკარე იონსენმა რაულის სახიფათო დარტყმა ორჯერ მოიგერია. ვუდგეიტმა ოდნავ ააცილა მიზანს. არაზუსტად დაარტყეს ბაპტისტამ და რობინიომაც.

„რუსენბორგი“ მეტოქის საჯარიმოს ვერ აწუხებდა და „რეალის“ გოლკიპერ კასილიასსაც დიდხანს მოუწია უსაქმოდ დგომა. ბოლოს და ბოლოს სტორფლორმა ვერაგული საჯარიმო ჩააწოდა, თუმცა გალაქტიკოსთა მეკარე ბურთს ადგილზე დაუხვდა. გადის ცოტა ხანი და ხიფათი ახლა უკვე სტუმართა საჯარიმოზე იქმნება — იონსენი და მისი კარის მელი ჟულიო ბაპტისტას დარტყმას ერთად გადაეღობნენ.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე ელგერამ სტორფლორის პასი ვერ ჩაჭრა და... სტრანდის გოლი ლამაზი გამოდგა. მან გალაქტიკოსები ადრეც გაამწარა. 1997-98-ის ლიგაზე „რუსენბორგის“ მიერ სამეფო გუნდის კარში გატანილი ორი გოლიდან პირველი მის ანგარიშზეა.

მეორე ტაიმში ვანდერლეი ლუშემბურგომ ტრავმირებული ბაპტისტას მაგივრად მოედანზე გუტის უხმო. გუტიერესმა და პაბლო გარსიამ მოედნის ცენტრში ერთმანეთს კარგად გაუგეს და „რეალმაც“ გამოიღვიძა.

გუტის პასებით რაულმა მეორე ნახევრის პირველი წუთიდანვე დაიწყო მოწინააღმდეგის აწიოკება. მერე „უიღბლოდ“ მონათლულმა ვუდგეიტმაც ნახა ხეირი — ინგლისელმა თანამემამულე ბექჰემის გადაცემას თავი შეაგება და იონსენს საპასუხო გოლი შეუგდო.

ოთხი წუთის მერე „სამეფო კლუბის“ კაპიტანი რობინიოს დიდებული გარღვევის შემდეგ ბურთს დაეპატრონა და ტაბლოზეც 2:1 აანთო. გონსალეს ბლანკოს ორმაგი იუბილე ჰქონდა. ჯერ ერთი, ჩემპიონთა ლიგაზე მეასე მატჩი ითამაშა და მეორეც — ამ გათამაშებაში მისი პირველი გატანილი გოლიდან ზუსტად 10 წელი შესრულდა.

ამის მერე „რეალმა“ გაათმაგებული ენერგიით შეუტია და დაბნეულ ნორვეგიელებს ძირითადად მარტო საკუთარი კარიდან ბურთების გამოტანა უხდებოდათ. 68-ე წუთზე ბექჰემის საჯარიმოს ივან ელგერამ იღბლიანი თავური დაჰკრა. ანგარიშის გაზრდა რაულსა და რობინიოსაც შეეძლოთ, მატჩის ბოლოს კი კვლავ ბექჰემი — თავისი საფირმო საჯარიმოთი და საბოლოო 4:1.

„გოლს „რეალის“ ექიმს დელ კორალს ვუძღვნი, ტრავმა ხომ მისი წყალობით მოვირჩინე“ — თქვა ჯონათან ვუდგეიტმა მატჩის შემდეგ.

**ლიონი 2:1 ოლიმპიაკოსი**

**1:0 ჟუნინიო (4), 1:1 კაფესი (84), 2:1 გოვუ (89)**
**ლიონი: კუპე, კრისი, რევეილერი, კასაპა, აბიდალი, ტიაგუ, დიარა, ჟუნინიო, გოვუ (კლემენტი 90), მალუდა (ვილტორდი 75), ფრედი (კარეუ 70)**
**მწვრთნელი: ჟერარ ულიე**
**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი (ბაბანგიდა 90), კაპსისი, კოსტულასი, პანტოსი, ტურე, სტოლტიდისი (კონსტანტინუ 85), ბულუტი, კაფესი, ოკასი, ჯორჯევიჩი**
**მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი**
**მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)**
**38 053 მაყურებელი**

| 15087 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | ჰერტა-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | გლადბახი-ლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | აინტრახტი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ნიურნბერგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | ბაიერნი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ტრევისო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | მესინა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15138 | უდინეზე-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | კიევო-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | მილანი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ფიორენტინა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ლივორნო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | სამპდორია-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | რომა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ლეჩე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | რეალი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ბარსელონა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | სელტა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | სევილია-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | კადისი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | რასინგი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | მალაგა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | არსენალი-სიტი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11006 | ფულემი-ლივერპული | 5.20 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11008 | ასტონ ვილა-უიგანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11012 | ევერტონი-ჩელსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11087 | ჰანოვერი-ვერდერი | 5.10 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11089 | ჰერტა-მაინცი | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11090 | გლადბახი-ლაუტერნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.50 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11091 | აინტრახტი-კიოლნი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11092 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11093 | ნიურნბერგი-არმინია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11136 | ტრევისო-ემპოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11137 | მესინა-ასკოლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11138 | უდინეზე-ინტერი | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11139 | კიევო-კალიარი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11140 | მილანი-პალერმო | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11142 | ფიორენტინა-პარმა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11144 | ლივორნო-რეჯინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11145 | სამპდორია-სიენა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11146 | რომა-ლაციო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11147 | ლეჩე-იუვენტუსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11170 | რეალი-ვალენსია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11172 | ვილიარეალი-მალიორკა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11173 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11174 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11176 | სელტა-ესპანიოლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11178 | სევილია-ალავესი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11179 | კადისი-ბილბაო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11180 | რასინგი-ატლეტიკო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11181 | მალაგა-ბეტისი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

[illegible]

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 2.10 |
| 14004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14005 | არსენალი-სიტი | 1.25 | 2.50 |
| 14006 | ფულემი-ლივერპული | 2.10 | 1.70 |
| 14007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.25 | 2.50 |
| 14008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.65 | 2.20 |
| 14009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.35 | 2.40 |
| 14012 | ევერტონი-ჩელსი | 2.50 | 1.15 |
| 14086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.75 | 2.10 |
| 14087 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.75 |
| 14089 | ჰერტა-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14090 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 2.30 |
| 14091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.75 | 2.10 |
| 14092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.90 | 1.90 |
| 14093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.70 | 2.20 |
| 14094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.90 | 1.90 |
| 14136 | ტრევისო-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14137 | მესინა-ასკოლი | 1.60 | 2.20 |
| 14138 | უდინეზე-ინტერი | 2.20 | 1.60 |
| 14139 | კიევო-კალიარი | 1.40 | 2.40 |
| 14140 | მილანი-პალერმო | 1.06 | 2.90 |
| 14142 | ფიორენტინა-პარმა | 1.25 | 2.50 |
| 14144 | ლივორნო-რეჯინა | 1.55 | 2.30 |
| 14145 | სამპდორია-სიენა | 1.40 | 2.40 |
| 14146 | რომა-ლაციო | 1.80 | 1.90 |
| 14147 | ლეჩე-იუვენტუსი | 2.50 | 1.30 |
| 14170 | რეალი-ვალენსია | 1.40 | 2.40 |
| 14171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.20 | 2.60 |
| 14172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.40 | 2.40 |
| 14173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.90 | 1.90 |
| 14174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14176 | სელტა-ესპანიოლი | 1.65 | 2.30 |
| 14178 | სევილია-ალავესი | 1.40 | 2.40 |
| 14179 | კადისი-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14181 | მალაგა-ბეტისი | 1.90 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13005 | არსენალი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ფულემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ევერტონი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13087 | ჰანოვერი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13089 | ჰერტა-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13090 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.55 | 2.10 |
| 13093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.55 | 2.10 |
| 13136 | ტრევისო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13137 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13138 | უდინეზე-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13139 | კიევო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | მილანი-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 13142 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13145 | სამპდორია-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13146 | რომა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13147 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 13170 | რეალი-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 13171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13176 | სელტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13178 | სევილია-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | კადისი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13181 | მალაგა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12005 | არსენალი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ფულემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12007 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ასტონ ვილა-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ევერტონი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12086 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12087 | ჰანოვერი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12089 | ჰერტა-მაინცი | 2.00 | 1.60 |
| 12090 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.90 | 1.70 |
| 12091 | აინტრახტი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12092 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12093 | ნიურნბერგი-არმინია | 1.90 | 1.70 |
| 12094 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12096 | ბაიერნი-დუისბურგი | 2.20 | 1.50 |
| 12136 | ტრევისო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12137 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12138 | უდინეზე-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12139 | კიევო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12140 | მილანი-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12142 | ფიორენტინა-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12144 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 12145 | სამპდორია-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12146 | რომა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12147 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12170 | რეალი-ვალენსია | 2.00 | 1.60 |
| 12171 | ბარსელონა-ოსასუნა | 2.00 | 1.60 |
| 12172 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12173 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12174 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12176 | სელტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12178 | სევილია-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12179 | კადისი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12180 | რასინგი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12181 | მალაგა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |

# სანაკრებო ბუმი

## საქართველოში 13 წლიდან შეიკრიბებიან



გელა წულაძე და ლაშა ძიძავა

ნუგზარ ვარდოსანიძის ფოტო

გუშინ კალათბურთის ფედერაციის მესვეურებმა ჟურნალისტები თავიანთ ოფისში მიიწვიეს და ახალი პროექტის პრეზენტაცია მოაწყვეს. იქვე გვაცნობეს:

ამიერიდან ყოველ წელს შეიქმნება 13 წლის მოთამაშეთა ნაკრები, რომლის მწვრთნელიც გუნდს მანამდე გაჰყვება, სანამ კალათბურთელები 20 წლისანი არ გახდებიან. ანუ წლეულს 1992 წელს დაბადებულნი შეიკრიბებიან და მათ კადეტთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ევროჩემპიონატებზე ერთი მწვრთნელი უთავკაცებს.

საკადეტო ასაკამდე 92-იანებს 3 წელი უკლიათ და ამ ხნის განმავლობაში მწვრთნელს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება შეუძლია დღევანდელი თაობისგან. ამ ნაკრების მწვრთნელად კადეტების თავკაცი გელა წულაძე დაინიშნა, რომელსაც ასისტენტობას გია კაზანჯიანი გაუწევს. წულაძემ და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ გულიშნდელ პრესკონფერენციაზე ამ პროექტის რაობასა და დადებით მხარეებზე ისაუბრეს...

*ლაშა ძიძავა:*

— გადავწყვიტეთ, რომ ყოველ წელს შევქმნათ 13 წლის ბავშვთა ნაკრები, რომელსაც საქართველოს ნაკრებს დავარქმევთ. აქამდე ამ ასაკის კალათბურთელთაგან არ იკრიბებოდა ნაკრები, ბავშვები სანამ 15-16 წლისანი არ გახდებოდნენ, მანამდე თავ-თავიანთ კლუბებში თამაშობდნენ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ბავშვები თავიდანვე შეეჩვიონ ერთმანეთს და, რაც მთავარია, მათ ჰყავდეთ ერთი მწვრთნელი, რომელიც მანამდე გაჰყვებათ, სანამ ყველა ასაკობრივ ნაკრებს არ გაივლიან. ანუ 20 წლამდე ეს ნაკრები იქნება ერთი მონოლითი, შეკრულ-შეთამაშებული გუნდი, რომლის წარმატების ალბათობაც, ცხადია, გაცილებით დიდია. თავისთავად ეს დიდი პასუხისმგებლობაა მწვრთნელისთვის — იგი კონკრეტულ თაობაზე აგებს პასუხს...

— ამ მოდელის შექმნამდე გარკვეული ანალიზის შედეგად მივედით. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ არ გვყავს ბევრი მაღალი კვალიფიკაციის ბავშვთა მწვრთნელი; არაა ახალგაზრდების სწორი მიმართულებით განვითარებისთვის საჭირო პირობები — დარბაზები, ინვენტარი, საშხაპეები. ისე ვერ მოხდება, რომ ერთი თაობის ყველა ბავშვს თანაბრად კარგი პირობები ჰქონდეს, ამიტომაც ჩვენ საუკეთესოებს შევკრებთ და ყველანაირად გვერდში დავუდგებით...

— ნაკრები კვირაში ერთხელ შეიკრიბება და მწვრთნელისგან გარკვეულ მითითებებს მიიღებს. ბატონი გელა წულაძე უკვე თითქმის ყველა იმ გუნდის მწვრთნელთანაა მოლაპარაკებული, საიდანაც ნაკრების წევრები უნდა აიყვანოს. კლუბების მწვრთნელებს ნაკრების მწვრთნელისგან მიეცემათ კონკრეტული პროგრამა, რითაც მათ გუნდში მყოფ ნაკრების წევრებს მოამზადებენ. ეს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ერთი წლით უფროს ასაკობრივ საქართველოს ჩემპიონატში, ხოლო თავიანთ ასაკის პირველობას თავ-თავიანთ კლუბებში ითამაშებენ. ნაკრებს წელიწადში ორჯერ ექნება შეკრება და ერთხელ რომელიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას...

— მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების მწვრთნელი ყოველწლიურად გაემგზავრება უცხოეთში სემინარებზე, ხოლო იქიდან დაბრუნებული თავად ჩაატარებს სემინარს თავის კოლეგებთან...

*გელა წულაძე:*

— უკვე თითქმის შერჩეული მყავს ის ბავშვები, რომელთაგანაც ამ დღეებში ხსენებულ ნაკრებს შევკრებ. დაახლოებით 18-20 კანდიდატი გვეყოლება, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ამათ არ მიეცემათ შანსი. წინ რამდენიმე წელია და თუ ვინმე ნიჭიერი გამოჩნდება, დაუყოვნებლივ მოხვდება ნაკრებში. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ბავშვი გამოვცადოთ. სანამ ეს ნაკრები კადეტთა ასაკს მიაღწევს და პირველი ოფიციალური ტურნირის თამაში მოუწევს, სამი წელი უნდა გავიდეს. განმავლობაში მანძილზე ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს ერთად თამაშის საკმარისი გამოცდილება დაუგროვდებათ და წარმატების შანსებიც გაორმაგდება. აქამდე კადეტები ევროტურნირზე რომ მიდიოდნენ, უმრავლესობა საზღვარგარეთ არც იყო ნამყოფი, ეს ნაკრები კი სანამ საერთაშორისო სარბიელზე გავა, მინიმუმ სამი უცხოური ტურნირი ექნება ნათამაშები.

*ლაშა ძიძავა:*

— ამ პროექტის მთავარი მიზანი ისაა, რომ ეროვნულმა გუნდმა ძლიერი შევსება მიიღოს და ამავდროულად ასაკობრივი ნაკრებების შედეგიანობაც ამაღლდეს ევროპის ჩემპიონატებზე. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ამ პროექტის განხორციელებისკენ გვიბიძგა, ბავშვებში ასაკის გადაკეთების პრობლემაა. რატომ გადავწყვიტეთ, რომ ნაკრები 13 წლიდან შეკრებილიყო? იმიტომ, რომ 14 წლის არაერთი ქართველი ბავშვი უკვე წასულია საზღვარგარეთ გადაკეთებული საბუთებით. მათ ასაკი აქვთ დაკლებული, ხოლო ჩვენ გვინდა, ამიერიდან ყველა კალათბურთელმა სუფთა ასაკით ითამაშოს. ამ ნაკრებს (მომავალში ნაკრებებს) ფედერაციისგან დიდი მხარდაჭერა ექნება. ყოველ ასაკს, 13 წლიდან და ზევით, ეყოლება თავისი ნაკრები, რომელსაც ერთი მწვრთნელი უპატრონებს. პირველი ნაკრების თავკაცი, როგორც გითხარით, გელა წულაძე იქნება, მომავალი წლიდან კი ამ თანამდებობაზე დანიშვნა სელექციის, გარკვეული სახით ტენდერის შედეგად მოხდება.

**ირაკლი პერტაია**

# ბოლო სიტყვა აღმასკომზეა

## 26-ში არჩევნებს დათქვამენ

ეს ფედერაცია, რომელიც დღეს ქართულ კალათბურთს განაგებს, ოთხი წლის წინ დააკომპლექტა არჩევნებში გამარჯვებულმა ბესიკ ლიპარტელიანმა. ფედერაციის წესდებაში წერია, რომ ამ ორგანოს პრეზიდენტი ოთხი წლის ვადით ირჩევა, ასე რომ...

დიახ, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის დროც მოსულა, მაგრამ კონკრეტული თარიღი ჯერ უცნაურია. როგორც გუშინ ფედერაცის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ გვითხრა, მომავალ ოთხშაბათს აღმასკომში შეიკრიბება, რომელიც არჩევნების გამართვის თარიღს დათქვამს. ამის შემდეგ დაიწყება პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია და, ძიძავასვე თქმით, დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში არჩევნებიც მოეწყობა.



## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი.

მეორე წრე. 20 ოქტომბერი

**სტუ-შევარდენი 33:28 ხ/კ თბილისი**

**სტუ-შევარდენი:** კუპატაძე, ტალახაძე (გაიტანა 9 გოლი), რუსია (8), ნივნივაძე (7), ჩუბინაშვილი (4), ნადირაძე (2), გიორგი კობახიძე (2), ამირან ყიფიანი (1), ომარ ყიფიანი, ქუთათელაძე, სვიმონიშვილი

**ხ/კ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, ნატროშვილი (10), სამარლანიშვილი (5), ქირია (4), გიორგელაშვილი (4), გრიშიკაშვილი (3), ლალანიძე (2), ფორაქიშვილი, გელა არაბული, მამასახლისი, ჟღენტი, სულიკაშვილი

*მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი*

**ქარიშხალა 32:20 სსსუ-მამული**

**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მსხვილიძე (7), ბერძენიშვილი (5), ჯორბენაძე (4), საჯაია (4), გიორგი ჩიქოვანი (3), ირაკლი ჩიქოვანი (2), მელქოშვილი (2), ამირანაშვილი (2), გოგალაძე (2), სიგუა (1), ქსოვრელი, ზაალიშვილი

**სსსუ-მამული:** ხონელიძე, ხინგავა, შათირიშვილი (9), მაისურაძე (5), მამაცაშვილი (2), ხუციშვილი (2), გობეჯიშვილი (2), სიხარულიძე, შონია, ყაველაშვილი, კიზირია, გველესიანი

*მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი*



გიორგი ნატროშვილი გუშინ ყველაზე მეტგოლიანი იყო

# შევარდენი მაინც ყველაზე მაღლა დაფრინავს

**მადლობა** ღმერთს, წინა დღეს ამტყდარი სამსაჯო კონფლიქტი არ გაღვივებულა და გუშინდელი ორივე მატჩი, ფეთქებასაშიში წინაპირობის მიუხედავად, გაურთულებლად დასრულდა.

შეგახსენებთ, „თბილის" — „ქარიშხალას" შეხვედრისას მის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო, მსაჯმა ელენე არაბულმა მეორე ტაიმში თამაშის გაძღოლაზე უარი განაცხადა. კარგია, რომ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციისა და გუნდების მწვრთნელთა თხოვნით, არაბული გუშინ მოედანზე სამსაჯოდ დაბრუნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნულ პირველობას ჩაშლა ემუქრებოდა, რადგან ელენეს მეწყვილე ზურაბ ქოქოსაძე შუძლოდ იყო და გუშინ საერთოდ არ გამოჩენილა დარბაზში.

ჩემპიონატიდან „თელავის" თვითმოკვეთის შემდეგ გათამაშებას შემორჩენილი ოთხეულის ყოველი შეხლა, ცხადია, სამეძლოა, ოღონდ არა საჩემპიონო, რადგან, უზარმაზარი საშემადგენლობო დანაკლისის მიუხედავად, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" ამჯერადაც უკონკურენტოდ ბატონობს ქართულ სახელბურთო არენაზე.

ცნობისთვის, შევარდნებმა ახალი სეზონი უცხოეთში წასული სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე დაიწყეს, მერე კი აზერბაიჯანში იქაურ ნაკრებთან სასპარინგოდ ჩასულთ მეკარე კორნელი ანდრიაძე და ფლორგარდი ბაკურ ცოტაძე დაუშავდათ, რის გამოც ლამის განახევრებული შემადგენლობით გააგრძელეს საქართველოს ჩემპიონატი.

ძალა აღმართს ხნავს, მიმდინარე ეროვნულშიც მაინც უპირველესი ფავორიტი „სტუ-შევარდენია" და ეტყობა, მე-16 ტიტულს მას ვერავინ შეეცილება

**ვითარება ორი წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 6 | 0 | 0 | 194:138 | 12 |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 3 | 141:152 | 6 |
| ხ/კ თბილისი | 2 | 0 | 4 | 163:151 | 4 |
| სსსუ-მამული | 1 | 0 | 5 | 137:194 | 2 |

**მეგოლეები**

| | | გუნდი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ნივნივაძე | სტუ-შევარდენი | 79 |
| 2 | ირაკლი ქირია | ხ/კ თბილისი | 55 |
| 3 | რატი მსხვილიძე | ქარიშხალა | 51 |
| 4 | ლაშა სამარლანიშვილი | ხ/კ თბილისი | 49 |
| 5 | ალიკ გიორგელაშვილი | თელავი, ხ/კ თბილისი | 43 |
| 6 | ზვიად შათირიშვილი | სსსსუ-მამული | 43 |
| 7 | გიორგი კობახიძე | სტუ-შევარდენი | 36 |
| 8 | თემურ მეტრეველი | თელავი | 30 |
| 9 | ლევან ბერძენიშვილი | ქარიშხალა | 30 |
| 10 | აკაკი ტალახაძე | სტუ-შევარდენი | 29 |

## მაგთიკომის პირველობა

# ლოკომოტივს ვეღარავინ დაეწევა

## ხულიგნებმა ლელო დაალელოვეს



მაგთიკომის პირველობა ნელ-ნელა საპლეიოფო ნაწილს უახლოვდება, თუმც ნახევარფინალებში რომელი გუნდები მიიღებდნენ მონაწილეობას, კარგა ხნის წინათ გაირკვა.

„ლოკომოტივი“ ჩემპიონატის დაწყებამდე უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. ამ გუნდს რომ დღეისათვის უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, კამათიც არ უნდა.

კიდევ ერთი საპლეიოფო საგზურის მოპოვება არც „ლელოს“ უნდა გასჭირვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ძალიან ბევრმა მორაგბემ დატოვა.

„ხულიგანამ“ პირველობის დასაწყისშივე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და არც მის წარმატებაში გვეპარებოდა ეჭვი, „აკადემიამაც“ გამოაჩინა კლანჭები და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ პლეი ოფს მიღმა დარჩენის ყველაზე რეალური კანდიდატი „ყოჩები“ აღმოჩნდა. ამ უკანასკნელს ნახევარფინალში მოხვედრის თეორიული შანსი ჯერაც შერჩენია, თუმც ნაკლებად სავარაუდოა, წარმატებას მიაღწიოს.

გუშინ ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გამართული ტური ორმაგად საინტერესო იყო. ჯერ ერთი, მეორე ადგილისთვის მებრძოლი ორი გუნდი, „ხულიგანა“ და „ლელო“ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მეორე მატჩში კი „ლოკომოტივს“ კიდევ ერთხელ უწევდა „სარბიელის სინისთვის“ ბრძოლა. ამჯერად „რკინიგზელები“ აკადემიამ გამოიძახა: ამას გარდა, მოგების შემთხვევაში ლოკომოტიველები ვადამდე ინაღდებდნენ ჯგუფში პირველ ადგილს.

**ხულიგანა 25:12 ლელო**

**ხულიგანა**: შკინინი, ჩიტაძე, ჟამუტაშვილი, გრძელიშვილი, ჭიჭინაძე; თალაკვაძე, კუპრეიშვილი; ხოსიტაშვილი, ახვლედიანი, გენებაშვილი, ფეიქრიშვილი, კენჭაძე, შეყლაშვილი, მურვანიძე, კიკუაშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ*: ლუაშვილი, დგებუაძე, მაღრაძე

4 **ლელო**: ხოსიტაშვილი (2), შეყლაშვილი, ახვლედიანი; 1 გარდასახვა: გენებაშვილი; 1 საჯარიმო: გენებაშვილი

**ლელო**: თოდუა, ჯამრულიძე, მანჯავიძე, ფირფილაშვილი, შალიკაშვილი; ყიასაშვილი, კვირიკაშვილი; ხაბეიშვილი, სარდანაშვილი, დ. დაუშვილი, ჩიტიძე, რამაზაშვილი, ქუბრიაშვილი, ტვილდიანი, ჩიკვაიძე

*შეცვლაზე შევიდა*: ი. დაუშვილი

2 **ლელო**: ფირფილაშვილი; 1 გარდასახვა: კვირიკაშვილი

**„ხულიგანას“** რიგებში მრავალი ისეთი მორაგბე თამაშობს, 18-19 წელს რომ არ ასცილებია, თუმც მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ შარშან ბრწყინვალედ, წლეულს კი არასტაბილურად მოთამაშე „ლელოსთვის“ არაფრის დათმობას არ აპირებდა.

შეგახსენებთ, ამ გუნდთა დაპირისპირება პირველ წრეში ლელოელთა ერთქულიანი გამარჯვებით, 33:32 დამთავრდა, „ხულიგანას“ კი მატჩამდე მოწინააღმდეგეზე ორი ქულით ნაკლები ჰქონდა და თუ მეორე ადგილზე გასვლა სურდა, უთუოდ უნდა მოეგო.

„ხულიგანა“ პირველი წუთებიდანვე მეტოქის სუსტი წერტილების ძებნას შეუდგა და მიაგნო კიდეც. „ლელოს“ შერკინების ხაზი აშკარად სუსტად გამოიყურებოდა და მეტოქემაც მოლში თამაშს უმატა. მეთერთმეტე წუთისთვის „ხულიგნებმა“ ბურთი ჩათვლის მოედანში შეიტანეს, მისი დამმიწებელი ხოსიტაშვილი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ თამაში თითქოს გათანაბრდა, მაგრამ პირველი შეხვედრისგან განსხვავებით „ლელო“ აშკარად ბევრ შეცდომას უშვებდა და მოწინააღმდეგეც ხომ ჩინებულად ირჯებოდა.

ოცდამეთორმეტე წუთზე „ხულიგანამ“ მეორე და განსაკუთრებით აღსანიშნავი ლელო გაიტანა. მოლი „ხულიგნების“ ნახევარზე დადგა და ესენიც ისე მიაწვნენ, რომ მოწინააღმდეგის ნახევარზე გადავიდნენ და ჩათვლის მოედნამდე მიაწვნენ მეტოქეს, სადაც შეყლაშვილმა დაამიწა კიდეც ბურთი.

გარდასახვა გენებაშვილმა შეასრულა ზუსტად, ტაიმის დამთავრებამდე სამიოდე წუთით ადრე კი მანვე საჯარიმო შეაგდო და ანგარიში 15:0 გახდა.

მსაჯის სასტვენს ცოტაღა აკლდა, „ლელომ“ მატჩს ინტრიგა რომ დაუბრუნა. შეტევაში ლელოელებმა კარგად გაათამაშეს ბურთი და ფირფილაშვილმა მეტოქის ჩათვლის მოედანზე შეაღწია.

პირველი ნახევარი 15:5 დასრულდა, მეორე ტაიმში კი დაძაბულობამ უფრო იმატა. ორმოცდამეთორმეტე წუთზე „ლელომ“ მარჯვენა ფრთიდან დიაგონალზე გადაკიდა ბურთი, „ხულიგანას“ თხუთმეტმა ნომერმა, შკინინმა მისი დაჭერა ვერ მოახერხა. მიწიდან ასხლეტილი ბურთი ორჯერ გადაატრიალდა თავზე, ამასობაში ფირფილაშვილიც საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და კიდევ ერთი ლელო გაიტანა. გარდამსახველი მერაბ კვირიკაშვილმა დაარტყა, ანგარიში 15:12 გახდა. აქ „ლელოს“ გულშემატკივარმაც იფიქრა, ჩვენებმა თამაში შემოატრიალესო. თუმცა ხოსიტაშვილისა და ახვლედიანის ლელოებმა მათ ოცნებასაც ბოლო მოუღო და „ხულიგანაც“ ცხრილში მეორე ადგილზე აღაზევა. საბოლოო ანგარიში კი 25:12 გახლავთ.



გოჩა ქოჩიაშვილის ფოტოები



**აკადემია 11:28 ლოკომოტივი**

**აკადემია**: გურგენიძე, ლამბაშიძე, ელიზბარაშვილი, სულამანიძე, პინჩუკოვი, ხუბუნეიშვილი, ქოპილაშვილი; სირბილაძე, მურვანიძე, ჩიკვაიძე, გაბუნია, ნებულიშვილი, გელანტია, ნატრიაშვილი, ბანდელაძე

*შეცვლაზე შევიდა*: მ. კობახიძე

1 **ლელო**: ნატრიაშვილი; 2 საჯარიმო: ელიზბარაშვილი

**ლოკომოტივი**: ასათიანი, ჩიხლაძე, გიგაური, გილაური, უდესიანი; კვინიხიძე, სამხარაძე; ყურაშვილი, სუთიაშვილი, მაისურაძე, კორკოტაძე, მთიულიშვილი, საპანდერაშვილი, ნიშნიანიძე, გასვიანი

*შეცვლაზე შევიდა*: [illegible]

4 **ლელო**: გილაური (2), ნიშნიანიძე, მაისურაძე; 1 გარდასახვა: კვინიხიძე; 2 საჯარიმო: კვინიხიძე, უდესიანი

**სინ-ბინი**: კვინიხიძე, მაისურაძე

**მეორე** თამაში, როგორც მოგახსენეთ, „აკადემია“ „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა და სინისათვის ბრძოლაშიც გამოიწვია.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, „აკადემიკოსების“ გამარჯვებისა ცოტას თუ სწამდა, თუმც მათ სასახელოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ ჩემპიონატის ფავორიტს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, რაც პირველ ტაიმში განსაკუთრებით თვალში საცემი იყო.

წინა თამაშის მსგავსად, ანგარიში აქაც მეთერთმეტე წუთზე გაიხსნა. „ლოკომოტიველთაგან“ გილაურმა იხეირა, თუმცა ბობა კვინიხიძემ გარდასახვის გატანა ვერ მოახერხა და „რკინიგზელები“ 5:0 დაწინაურდნენ.

„აკადემიამ“ საჯარიმო დარტყმით მალევე შეამცირა სხვაობა. საიმედო ლიანი ელიზბარაშვილის ანგარიშზეა.

რამდენიმე წუთში „ლოკომოტივმა“ კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხა. ამჯერად ჩათვლის მოედანზე შეჭრა ნიშნიანიძემ შეძლო. კვინიხიძემ ვერც ამჯერად გაიტანა გარდასახვა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელ მატჩში ბობა უჩვეულოდ სუსტად ასრულებდა საჯარიმოებსა და გარდასახვებს, რაც ერთის მხრივ ალბათ „მეურნეობისეული“ ქარის ბრალიც გახლდათ. გარდა ამ წუნისა, ლოკომოტიველთა ათიანის კიდევ ერთ მინუსად მისი გასინბინება შეიძლება ჩაითვალოს.

შეგახსენებთ, ბობა წინა თამაშშიც მსაჯთან კამათის გამო დასვეს ყვითელ სკამზე და გუშინდელი ათწუთიანი გაძევებაც იგივე მიზეზით დაიმსახურა, თუმცა ეს მეორე ტაიმში მოხდა, პირველში კი ერთი საჯარიმოს გატანა მოასწრო და თავისიანები 13:3 დააწინაურა.

ისევ დღის პირველ თამაშთან პარალელი — იქაც და აქაც გუნდმა, რომელიც აგებდა, პირველი ლელო ტაიმის 39-ე წუთზე გაიტანა. ლელოს ავტორად ნატრიაშვილი მოგვევლინა.

მეორე ნახევარში 51-ე და 52-ე წუთებზე გუნდებმა ზუსტი საჯარიმოები გაცვალეს. „ლოკომოტიველთაგან“ უდესიანმა გაიტანა, „აკადემიკოსებიდან“ კი ელიზბარაშვილი გამოირჩა.

ამის შემდეგ, დიდი მცდელობის მიუხედავად, „აკადემიას“ აღარაფერი გამოსვლია. სამაგიეროდ, „ლოკომოტივმა“ ორი ლელოს გატანა კიდევ შეძლო. კვინიხიძემ მაისურაძის ლელოს მიაყოლა გარდასახვა, გილაურისას კი — ვერა და თამაშიც 28:11 დასრულდა „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

**ლადო ჭულუკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 7 | 7 | 0 | 0 | 299:54 | 14 |
| 2 ხულიგანა | 6 | 3 | 0 | 3 | 109:128 | 6 |
| 3 ლელო | 6 | 3 | 0 | 3 | 122:128 | 6 |
| 4 აკადემია | 5 | 1 | 1 | 3 | 72:109 | 3 |
| 5 ყოჩები | 6 | 0 | 1 | 5 | 44:145 | 1 |

# მოულოდნელობას მოულოდნელობა მოსდევს

**მასტერსის სერია. მადრიდი. ესპანეთი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 1 870 000 ევრო**

**II წრე**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 8) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — 6:3 7:6
**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი, 1) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — 7:6 6:3
**მარიანო პუერტა** (არგენტინა, 6) — მაქს მირნი (ბელარუსია) — 7:6 7:6
**ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) ენდი როდიკი (აშშ, 2) — 3:6 7:6 7:6
**ტომი რობრედო** (ესპანეთი, 13) — კარლოს მოია (ესპანეთი) — 6:4 3:6 6:1

**III წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 5) — ტომას იუჰანსონი (შვედეთი) — 6:3 7:5
**რობი ჯინეპრი** (აშშ, 16) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 3) — 6:3 7:5
**რადეკ შტეფანეკი** (ჩეხეთი, 10) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) — 7:6 4:6 7:6


რობი ჯინეპრი


რაფაელ ნადალი

AFP მაგიდიანიდან

**მადრიდში** მიმდინარე მასტერსის სერიის მორიგ ტურნირზე გუშინ საკმაოდ ხმაურიანი სენსაციები დაფიქსირდა. პირველივე მატჩი დათმო მეორე ნომრად განთესილმა ამერიკელმა ენდი როდიკმა, რომელმაც ხორვატი გიგანტის, ივო კარლოვიჩის უძლიერეს მოწოდებას ვერაფერი დაუპირისპირა. არადა, თამაშის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ამერიკელის წაგება არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. როდიკს ერთხელაც არ წაუგია თავისი მოწოდება და მაინცდამაინც არც ეისების რაოდენობით ჩამორჩენია ხორვატს (14-17 წინააღმდეგ ხორვატის სასარგებლოდ). თუმც გადამწყვეტი ამ მატჩში ნერვები გამოდგა, როცა მეორე და მესამე სეტებში ჩატარებულ ტაიბრეიკებზე ხორვატი უფრო ცივსისხლიანად გაისარჯა.

მეორე წრის სხვა მატჩებიდან უნდა აღინიშნოს ტურნირის პირველი ნომრის, ესპანელი რაფაელ ნადალის წარმატებული სტარტი.

მოგეხსენებათ, მარჯვენა მუხლის ტკივილის გამო ესპანელმა კინაღამ უარი თქვა მადრიდში ასპარეზობაზე. ამ მატჩშიც ნადალს სპეციალური სახვევი ეკეთა, თუმცა ეს მის თამაშს არანაირად არ დასტყობია. მან მატჩი ჩვეულ სტილში ჩაატარა და უკანა ხაზიდან ძლიერი ფორჰენდებით აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი.

მესამე წრეში ასევე მოახერხეს გასვლა არგენტინელმა პუერტამ და ესპანელმა ტომი რობრედომ. პირველმა წინა წრეში ფერეროს მძლეველი ბელარუსი მაქს მირნი დაამარცხა, რობრედომ კი თანამემამულე კარლოს მოია გამოთიშა ასპარეზობას.

გუშინვე დაიწყო მესამე წრის შეხვედრები და პირველი მეოთხედფინალისტების ვინაობაც გაირკვა. აქაც დაფიქსირდა კიდევ ერთი სენსაცია, როცა ამერიკელმა რობი ჯინეპრიმ ორ სეტში მოუგო ტურნირის მესამე ნომერ, რუს ნიკოლაი დავიდენკოს. ამერიკელისთვის ეს უკვე ზედიზედ მეხუთე ტურნირია, როცა ის მინიმუმ მეოთხედფინალში ახერხებს გასვლას. სამაგიეროდ, სეზონის სტარტისგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში ცუდად ასპარეზობს დავიდენკო, რომელიც ტურნირებს საწყისი ეტაპებიდანვე ემშვიდობება.

მეოთხედფინალში ასევე გავიდნენ ტურნირის შარშანდელი ფინალისტი, არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი და ჩეხი რადეკ შტეფანეკი.

**WTA. ციურიხი. შვეიცარია**
**მაგარსაფარი.**
**საპრიზო 1 300 000 დოლარი**

**II წრე**

**ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 4) — ნატალი დეში (საფრანგეთი) — 5:7 6:2 6:4
**პატი შნიდერი** (შვეიცარია, 6) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — 6:3 6:2
**ანასტასია მისკინა** (რუსეთი, 7) — სილვია ფარინა-ელია (იტალია) — 6:1 6:4
**ფლავია პენეტა** (იტალია) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) — 5:7 6:1 6:3
**კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 6:2 6:0

**ციურიხში** მიმდინარე WTA-ს მორიგ ტურნირზე გუშინ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა დაფიქსირდა. მას შემდეგ, რაც 30 წლის ბულგარელმა, მაგდალენა მალეევამ წააგო მეორე წრის მატჩი მასპინძელ პატი შნიდერთან, ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

მალეევამ თავისი 16-წლიანი საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში, 10 ერთეულთა და 5 წყვილთა თანრიგის ტიტული მოიგო.

რაც შეეხება შნიდერს, მისი მეტოქე მეოთხედფინალში იტალიელი ფლავია პენეტა იქნება, რომელმაც მძიმე სამსეტიანი დაპირისპირებაში დაამარცხა კიდევ ერთი ბულგარელი, სესილ კარატანჩევა.

შეგახსენებთ, რომ კარატანჩევა ციურიხის ტურნირზე მას შემდეგ მიიწვიეს, რაც ფრანგმა მარი პიერსმა გადაღლილობის გამო ამ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

მძიმე ორთაბრძოლის გადალახვა მოუხდა მეოთხედფინალში გასასვლელად რუს ელენა დემენტიევას. პირველი სეტის წაგების შემდეგ რუსმა ფრანგ ნატალი დეშისთან თამაში დაალაგა და შემდეგ მატჩის მოგება, ფრანგმა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო ორი საათის განმავლობაში მეორე სამსეტიან დაპირისპირებას და ადვილად დამარცხდა.

დემენტიევასთვის კი ამ ტურნირში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ კარგი თამაშის შემთხვევაში გაიზრდება მისი შანსები, რომ წლის შემაჯამებელ მასტერსის თასზე იასპარეზოს ლოს ანჯელესში.

დემენტიევას მეტოქე მეოთხედფინალში მისი თანამემამულე ანასტასია მისკინა იქნება. მან იტალიელ ფარინა-ელიასთან მეტად ისეთი თამაში აჩვენა, მისი ქვეყნის ჩოგბურთელს რომ შეეფერება. ამიტომ მისკინას თავისი მატჩის მოსაგებად მხოლოდ 57 წუთი დასჭირდა.

ნამდვილი სენსაცია იყო სლოვენიელი კატარინა სრებოტნიკის მიერ ტურნირის მეორე ნომრის, ფრანგ ამელი მორესმოს განადგურება. სლოვენიელმა მხოლოდ ორი გეიმი აალებინა მორესმოს, რომელმაც გაიმეორა ერთი კვირის წინ [illegible] თასზე მიღწეული „წარმატება“ და თავისი პირველივე თამაში ასევე კატასტროფულად წააგო.

**კახა ლომაშვილი**



# პოლიციელის გმირობა და გალახული სანხოსელი

19 ოქტომბერი

**მინესოტა 6:1 სან ხოსე**
**1:0 0:1 5:0**

**1:0 მიჩელი (15), 1:1 დიმიტრიაკოსი (38), 2:1 ბუგარდი (43), 3:1 შუინარი (45), 4:1 ბუშარი (49), 5:1 უაიტი (54), 6:1 კუბა (57)**

**მარიან** გაბორიკის სეზონში პირველი მატჩი „მინესოტამ“ ხმაურიანი გამარჯვებით აღნიშნა, თავად სლოვაკმა ორი პასი მიითვალა, მაგრამ შეხვედრის გმირი გუნდის პოლიციელი დერეკ ბუგარდი გახდა, რომელმაც ჩინებულად დაასრულა პარტნიორთა კომბინაცია და გარდატეხა შეიტანა თამაშში, ბოლო წუთებზე კი სანხოსელი რობ დევისონიც გალახა.

„როცა ბუგარდი ამისთანა გოლს გაიტანს, ღმერთს მადლობა უნდა შესწირო. მისმა გმირობამ ყველა აღაფრთოვანა და ასე დამაჯერებლადაც იმიტომ მოვიგეთ“ — წაიხუმრა „მინესოტას“ მეკარე მენი ფერნანდესმა.

**რეინჯერსი 2:3 აილენდერსი**
**0:1 0:0 2:1 0:0 0:1**
**ბულიტების სერიაში**

**0:1 იაშინი (14), 0:2 შატანი (41), 1:2 იაგრი (41), 2:2 პრუხა (56), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: შატანი**

**როგორც** იქნა, შატანი-იაშინის დუეტიც ამოქმედდა და „აილენდერსის“ საბედნიეროდ, ეს მოსისხლე მტერ „რეინჯერსთან“ მატჩში მოხდა. გუნდში წლეულს მოსული სლოვაკი და ახლახან კაპიტნად დანიშნული რუსი ორივე გოლში დაეხმარნენ ერთმანეთს, ბულიტების სერიაში კი ერთადერთი იღბლიანი შატანი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ შატანამდე იაშინმა ვერ გაიტანა და, სლოვაკის მტკიცებით, მან კაპიტნის შეცდომა არ გაიმეორა.

„ლუნდკვისტი კვლავაც კარში იდგა, მეც ავილე და ეგრევე დავარტყი. ისე საკმაოდ სანერვიულო საქმეა ბულიტების შესრულება, მაგრამ რახან ქომაგებს მოსწონთ, მეტი რა გზა გვაქვს“ — თქვა მატჩის გმირმა.

აღსანიშნავია, რომ შატანის შემდეგ ბულიტს „რეინჯერსის“ ლიდერი იარომირ იაგრი ასრულებდა. ჩეხმა ისე ძლიერად დაარტყა, რომ ყვანჯი გაუტყდა, მაგრამ სტუმართა მეკარე რიკ დიპიეტრო მაინც გაუმკლავდა შაიბას.



ლოსანჯელესელი მეკარე მეტიუ გერონი და კოლორადო „ევლანშის“ თავდამსხმელი ჯო საკიკი

AFP ლოს ანჯელესიდან

**კოლორადო 4:5 ლოს ანჯელესი**
**3:1 1:3 0:1**

**1:0 ლაპერიე (10), 1:1 დემიტრა (15), 2:1 ბრიუნეტი (16), 3:1 ლაპერიე (19), 4:1 საკიკი (27), 4:2 დემიტრა (29), 4:3 ვისნოვსკი (36), 4:4 ევერი (40), 4:5 კონროი (60)**

**საკუთარი** უსუსურობა ახალ წესებს არ უნდა დააბრალო. უკვე მეორე თამაშია, „კოლორადო“ სამშაიბიან უპირატესობას ფლანგავს და გუნდის წევრები ამას იმით ხსნიან, რომ გაზრდილი შედეგიანობის პირობებში არც ერთი უპირატესობა არ არის საკმარისი საბოლოოდ დადებითი შედეგის მისაღწევად, თუმც რა შუაშია წესები, როდესაც გუნდის დაცვა ამდენ შეცდომას უშვებს. თუნდაც ბოლო გოლი ავიღოთ, ძირითადი დროის მიწურულს შაიბის დასაუფლებლად კარს უკან გასრიალებულ მეკარე დავიდ ებიშერს მის გადაგდებაში არავინ უშლიდა ხელს, მაგრამ ამჯობინა, რეზინის დისკი მცველისთვის დაეტოვებინა, მანაც თავის მხრივ უხეიროდ მოისროლა შაიბა და... უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კრეიგ კონროიმ შანსი არ გაუშვა ხელიდან.

„მეტოქის ზონაში გასრიალებას არც კი ვაპირებდი, მაგრამ როცა შაიბა ფროლოვთან აღმოჩნდა, უცბად ავჩქარდი და გავიტანე კიდეც“ — თქვა ნამატჩევს კონროიმ.

**სენტ ლუისი 3:2 ანაჰაიმი**
**0:1 1:0 2:1**

**0:1 ოზოლინში (8), 1:1 ბეკმანი (28), 2:1 მაკამონდი (44), 2:2 სელიანე (59), 3:2 უეიტი (60)**



# ჰა, ნარდი და ჰა, კამათელი

**ამ** თბილისობაზე ერთი კარგი ჭედილა, ალბათ, არავის აწყენდა ჰოდა, ვისაც ჭედილათი გასტრონომიული ფანტაზიის დაკმაყოფილება სურს, მას საამისო შანსი ეძლევა. ოღონდ ერთი პირობით — საჭიროა დღეს 11 საათიდან თბილისში, რიყეზე მდებარე „[illegible]“ რეგისტრაცია გაიაროთ, მონაწილეობა მიიღოთ მონარდეთა ტურნირში და გაიმარჯვოთ ქართულ (მოკლე) ნარდში, სადაც მთავარ პრიზად სწორედ ჭედილაა დაწესებული.

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით იქვე მოკლესთან ერთად გრძელი ნარდიც გაიმართება და ნარდი საერთაშორისო წესებითაც.

შეჯიბრებებში მონაწილეობა ქალებსაც შეუძლიათ, კაცებსაც, წყვილებსაც და გუნდებსაც. ყველა გამარჯვებულს კი შესაბამისი დიპლომი და ფასიანი საჩუქარი ელის.

ასე რომ, ვისაც ძალა თუ [illegible] თელი გერჩით, დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 899 256 356.

ასე რომ, ჰა, ნარდი და ჰა, კამათელი.




AFP სიდნეიდან

# ა და ფორმულა

A-1-ის რბოლები სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს მსოფლიოში. ამ მანქანობას ვეგმად აქვს, ფორმულა 1-ს გადაუსწროს. ახლა „ერთა დიდი პრიზი" ავსტრალიაში იმართება. შეჯიბრში 25 გუნდი მონაწილეობს და ყველა მანქანა ზუსტად ერთნაირია. ახალი სამხრეთ უელსის სპორტის მინისტრს, სანდრა ნორის კი მოსწონს A-1. ფორმულის ვარსკვლავი მიკა ჰაკინენი კი ბერლინს ჩასულა თავის სპონსორთა კონგრესზე და იქაც თავისი ბოლიდის მოდელში ჩაუსვამთ.



AFP ბერლინიდან



AFP მელბურნიდან

# გაიმარჯვა

კოლუმბიელი ველომრბოლი მარია ლუიზა კალე ძალიან კარგ ხასიათზეა: საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი შეცდომა აღიარა და მას ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი დაუბრუნა, აქამდე ამბობდნენ, რომ მარია ლუიზა აკრძალული პრეპარატებით გამოდიოდა შეჯიბრზე.

# ჩინური თამაშებიდან

ჩინეთში მიმდინარეობს საერთაშორისო სამძლეოსნო თამაშები. კარგ ამბებთან ერთად იქ ცუდიც ხდება. მხტომელი ტინგი მეტად მოუხერხებლად გადაევლო სიმაღლეს და ლეიბს მიღმა დაეცა. ის მუხლის მოტეხილობით გააქანეს ჰოსპიტალში.



AFP ნანჯინგიდან




AFP ფრანკფურტიდან

# ბურთი ფრანკფურტში

ამ ბურთს ყველა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ანგარიში და სხვა რამ საჭირო ამბები აწერია. ის გერმანელებს გამოუფენიათ „საფეხბურთო სამყაროს" ეგიდით ფრანკფურტის წიგნების ბაზრობაზე, სადაც საფეხბურთო ლიტერატურასაც აქვს თავისი ადგილი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ჩუქიაშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge